

## 1. რუის-ურბნისის ძეგლისწერა

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა კათოლიკოს-პატრიარქი იოანე IV საფარელი, მოწვეულიყო 1103 წ. წმ. კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის უშუალო ინიციატივით. წმ. მეფეს მიაჩნდა, რომ ღვთისთვის მოსაწონი არ იქნებოდა საქართველოს მაშინდელ ეკლესიაში და ერში არსებული მდგომარეობა, ვინაიდან გამრავლებული იყო ცოდვა და ნაწილი ღვთისმსახურები, ნაცვლად ერში ქადაგებისა და მათთვის ღირსეული მაგალითის მიცემისა, ყოველგვარ უკუღმართობაში იყვნენ ჩართულნი. ამიტომაც, დავით აღმაშენებელმა, შემოიკრიბა რა ჩვენი ეკლესიის დიდი მღვდელთმთავრები, მტკიცე ხელით შეუდგაწესრიგისდამყარებასსაქართველოსეკლესიაში. სწორედამისთვისიქნამიღებულიესძეგლისწერაც.სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერებისთვის დავითი შეებრძოლა მსხვილ ფეოდალებს და ეკლესიასაც. ეკლესიას დაეპატრონენ ქონებითა და გვარიშვილობით,სამღვდელოებისთვის უღირსი, მსხვილი ფეოდალები, რომლებიც მეფის ხელისუფლებას ებრძოდნენ. დავით აღმაშენებელმა მოიწვია კრება,რათა დემოკრატიული რეფორმებს გატარებით ეკლესია მეფის ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინა. დავით აღმაშენებლის მიზანი იყო მსხვილი ფეოდალების დასუსტება და ამით სამეფოს გაძლიერება.

რუის-ურბნისის საეკლესიო ძეგლისწერა ერთ-ერთი საუკეთესოა სასულიერო ხასიათის ქართული სამართლის წყაროებს შორის. ძეგლისწერას ივანე ჯავახიშვილი 4, ხოლო კორნელი კეკელიძე 3 ნაწილად ჰყოფს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ დავითის შესხმას და ქართველ მოღვაწეთა მრავალჟამიერსა და მოსახსენებელს ჯავახიშვილი ცალ-ცალკე ნაწილებად განიხილავს, ხოლო კეკელიძე კი მათ ტერმინ „სინოდიკონის“ ქვეშ აერთიანებს. ამგვარად, რუის-ურბნისის ძეგლისწერა შედგება:

ა) შესავლის

ბ) კანონების

გ) დავითის შესხმისა და

დ) ქართველ მოღვაწეთა მრავალჟამიერისა და მოსახსენებლისაგან.

ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ წმ. დავით მეფის თანამედროვე დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე არსენ იყალთოელი უნდა ყოფილიყო კრების მდივანი და აქედან, შესაძლოა, ტექსტის ავტორიც.

ძეგლისწერის შესავალში მოთხრობილია: ადამიანის გაჩენა, მისი განდევნა სამოთხიდან, ღვთის მიერ მოსეს ხელით ადამიანებისთვის სჯულის მიცემა, ასევე ქრისტეს განხორციელება, მისი წამება, აღდგომა და ამაღლება და საქართველოს გაქრისტიანება. ძეგლის შესავალში აღიარებულია სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობა. რუის-ურბნისის ძეგლისწერა განარჩევდა სამართალს, როგორც ბუნებითს, ე.ი. ღვთიურს, ისე

დაწერილს, ანუ კანონს. უპირატესობას, რასაკვირველია, ღვთისგან ბოძებულ სამართალს ანიჭებდა, თანაც თვლიდა, რომ დაწერილი სჯული საღვთო სჯულის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

შესავალს მოსდევს საკუთრივ დადგენილებანი, ანუ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები. ივ. ჯავახიშვილს და კ.კეკელიძეს გააჩნდათ მოსაზრება, რომ ძეგლი 15 მუხლად იყოფა, ხოლო ი.დოლიძე მას 16 მუხლად ჰყოფდა. რაც შეეხება მუხლების შინაარსს, მათ ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

დადგენილებების შემდეგ მოცემულია შესხმა „კეთილად მსახურისა და ღივიდაცულისა მეფისა ჩუნიისა დავითისი“. შესხმა საკმაოდ დიდია და მასში წმ. დავით IV განდიდებულია შედარებებით. არსენ იყალთოელი აღნიშნავს, რომ მეფე დავითი არის: „საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის... ღვთის სახე, ვითარცა სიყვარული სათნოებათა შორის... ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის... მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის.“ შესხმა საკმაოდ ვრცელია. მას მოსდევს მრავალჯამიერი ცოცხალთა და მოსახსენებელი გარდაცვალებულთა. როგორც აღვნიშნეთ, კორნელი კეკელიძე დავითის შესხმას და მოსახსენებელს ძეგლისწერის ერთ ნაწილად თვლიდა და მას „სინოდიკონს“ უწოდებდა. სინოდიკონი, კეკელიძისვე განმარტებით, იყო ბიზანტიაში 843წ. ხატმებრძოლებზე მართლმადიდებელი ეკლესიის გამარჯვების ნიშნად შემოღებული განსაკუთრებული საეკლესიო მსახურება, რომლის დროსაც ქებას უძღვნიდნენ ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის მებრძოლთ.

ახლა განვიხილოთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ მიღებული დადგენილებები:

პირველი მუხლით განიკვეთნენ უღირსი მღვდელმთავრები. აქვეა განმარტებული, რომ უღირსი არსის ღვთისმსახური, რომელსაც ხორცი სულისთვის არ დაუთრგუნავს და არ არის შესაბამისი ასაკის მქონე.

მეორე მუხლმა მოაწესრიგა ღვთისმსახურისთვის საჭირო ასაკი. კერძოდ: წიგნისმკითხველისთვის - 8 წელი, დიაკვნისთვის - 25, მღვდლისთვის - 30 და მღვდელმთავრისთვის - 35. ამ მუხლშივეა მითითებული, რომ ხელდასხმა უნდა ხდებოდეს თანმიმდევრობით, უმცირესიდან უპირატეს ხარისხზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრების მიერ მიღებული „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების“ VII თავის §4 1-ლი პუნქტი ადასტურებს რუის-ურბნისის ძეგლისწერის მოთხოვნას, კერძოდ კი მღვდელმთავრისთვის საჭირო ასაკს - 35 წელს.

მესამე მუხლში მითითებულია, რომ ხელდასხმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდლის განწესების მიხედვით.

მეოთხე მუხლი კრძალავს ხელდასხმას ქრთამით, საფასით, ან ძღვენით, ანუ ე.წ. სიმონიას. როგორც ცნობილია, სიმონი იყო ის მოგვი, რომელმაც ქრისტეს წმიდა მოციქულებს სთხოვა მიეყიდათ მისთვის ღვთივმომადღებელი კურნების და სასწაულის მოხდენის უნარი.

მეხუთე მუხლში მითითებულია, რომ ეკლესიის ქონება და ჭურჭელი, ნაყიდი იქნება ეს თუ შემოწირული, უნდა იქნეს მოხმარებული მხოლოდ საჭიროების მიხედვით და ძეგლისწერით მისი გასხვისება, თვით ტყვეთა გამოსყიდვის მიზნითაც კი სასტიკად აიკრძალა.

მეექვსე მუხლით დადგინდა, რომ ქორწინება, მონათვლა და მონაზვნად განწესება უნდა მოხდეს მხოლოდ ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით. აქვეა აღნიშნული, რომ ქორწინება უნდა შესრულდეს ეკლესიაში და შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ, ე.ი. ადამიანს ორჯერ ჰქონდა ქორწინების უფლება. თუ უზიარებლობით დასჯილები არიან, შემდეგ შეასრულებენ დაკისრებულ უზიარებლობის კანონს. მეორე გვირგვინ მაკურთხეველი მღვდელი სადილზე თუ მივა ჯვარდაწერილებთან, დადგენილებით მღვდელი განიკვეთება, ხოლო ერისკაცი უზიარებლობით დაისჯება.

მეშვიდე მუხლმა დაადგინა მექორწილეთა ასაკი, კერძოდ 12 წელი. აიკრძალა მცირეწლოვანთა ჯვრისწერა.

მერვე მუხლში მითითებულია, რომ მღვდელმთავრებად უნდა შეირჩნენ ეკლესიის მსახურნი, რომელნიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანო წესებში, ანუ როგორც „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დებულებაშია“ მითითებული უნდა ჰქონდეს შესაფერისი საღვთისმეტყველო განათლება.

მეცხრე მუხლი აწესრიგებს მოძღვართა რიცხვს მონასტერში. აღნიშნულია, რომ დიდ მონასტრებს უნდა ჰყავდეთ 2 მოძღვარი, ხოლო პატარებს - მხოლოდ ერთი. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებობდა მოძღვართა უფროსის, ანუ მოძღვართმოდვრის თანამდებობა, რომელიც, ისიდორე დოლიძის მოსაზრებით, გელათის აკადემიის რექტორი იყო და ფრიად საპატიო სახელად ითვლებოდა.

მეათე მუხლი კრძალავს მონასტერში ერისკაცთა მიერ ვაჭრობას, ასევე მონასტრის ტერიტორიაზე არასაეკლესიო მიზნით შეკრებას, ვინაიდან მონასტერი არის ღვთის ტაძარი, სამლოცველო სახლი და ბერულ, წმიდა ცხოვრებას უწესობა არ შეშვენის.

მეთერთმეტე მუხლში განმარტებულია, თუ ვის მიერ, როგორ და სად უნდა სრულდებოდეს პარაკლისი, პანაშვიდი და საღვთო ლიტურგია, ჟამის წირვა.

მეთორმეტე მუხლით აღიარებულია სომხური ეკლესიის მწვალებლობა. ამიტომ, აღნიშნულ მუხლში მითითებულია, რომ თუ სომეხი მოექცევა ჭემმარტ სჯულზე ის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა მიიღოს, როგორც წარმართი.

მეცამეტე მუხლმა აკრძალა მართლმადიდებელისა და წარმართის ჯვრისწერა.

მეთოთხმეტე მუხლით დაუშვებლად გამოცხადდა წარმომადგენლობითი ქორწინება, ანუ როგორც ძეგლისწერაშია მითითებული „კურთხევა გრგნისა(გვირგვინისა) კიდის-კიდე“. ასეთი ქორწინების დროს მომავალი მეუღლეების ხვადასხვა ეკლესიებში იწერდნენ ჯვარს ერთსა და იმავე დროს. ხოლო ადგილზე მათ ნაცვლად წარმომადგენლები იყვნენ. მუხლში მითითებულია, რომ ჯვრისწერა არის ერთ-ერთი წმიდა საიდუმლო და არა რაღაც ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება წარმომადგენლების მეშვეობითაც გაფორმდეს.

მეთხუთმეტე მუხლი ეხება სხვა და სხვა ცოდვებს და მოცემულია მათი განმარტება. კერძოდ, მუხლში ნახსენებია კაციკვლა, მრუმობა, ცრუფიცი, შური, მტრობა, კერპთმსახურება. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მამათმავლობას, ანუ სოდომურ ცოდვას, როგორც უმძიმეს დანაშაულს, რომელიც „წინა უკუმობუნებისა შესცვალეს ბუნებითსა ძალსათსა“. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მონაწილენი მიუთითებენ აღნიშნული ცოდვის მომაკვდინებელ ხასიათზე, რომელმაც შეიძლება ქვეყანა დალუპოს.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებანი ჩაურთეს სჯულის კანონში. მანამდე კი დადგენილებანი გაკრული იყო სვეტიცხოვლისა და რუისის ეკლესიის სვეტებზე, რათა მრევლი გასცნობოდა მათ. სხვათა შორის, აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება - ძეგლისწერა.

## 2. კათალიკოსთა სამართალი

„კათალიკოსთა სამართალი“ შედგენილია 1543-1549 წლებში დაშედგება შესავლის, 23 მუხლისაგან და ხელრთვისაგან. კრებას ესწრებოდა ქართლის კათალიკოსი მალაქია, აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი და აფხაზეთის ეპისკოპოსები. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი მეტად მძიმე იყო საქართველოსთვის. ოსმალეთმა დაიპყრო რა სამცხე-საათაბაგო XVI ს. დასაწყისში, შეუდგა საქართველოს სხვა მხარეების, განსაკუთრებით კი დას. საქართველოს დალაშქვრას. 1510 წელს ოსმალეთი ქუთაისშიც შეიჭრა, მტერი ჩრდილოეთიდანაც უახლოვდებოდა ქვეყანას. ყველაფერმა ამან შეაფერხა საქართველოს განვითარება, სახელმწიფო პოლიტიკურად დაიშალა. ასეთ ვითარებაში გახშირდა მეკობრეობა, მკვლელობა. განსაკუთრებით საშიში გახდა ტყვეების საზღვარგარეთ გაყიდვა. ოსმალეთი საქართველოდან ტყვეებით ვაჭრობას ყოველმხრივ უწყობდა ხელს. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის საკათალიკოსოში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც საერო და საეკლესიო სამართლის საკითხების შესახებ შეიმუშავა „კათალიკოსთა სამართალი“.

„კათალიკოსთა სამართალი“ იწყება ტყვეების გაყიდვის ცოდვის განმარტებით და სანქციით. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ძეგლი არ განარჩევს დამნაშავეს გვაროვნულ წარმოშობას - ტყვის გამყიდველი ყველა შემთხვევაში უნდა შეაჩვენონ. აქვეა დამატებული, რომ თუ დამნაშავე მოახერხებს მის მიერ გაყიდულის გამოსყიდვას, ჯარიმა უნდა გადაუხადოს გაყიდულის ბატონს და იმ ეპისკოპოსს, რომლის ეპარქიაშიც ცხოვრობდა

აღნიშნული პირი. ხოლო თუ ვერ დააბრუნებდა ტყვეს დამნაშავე, მაშინ ის უნდა ჩამოეხრჩოთ.

მეორე მუხლით ასევე უნდა ჩამოახრჩონ ეკლესიისა და ხატის მძარცველი.

მესამე მუხლში განხილულია მხოლოდ მოპარვის ან უკანონოდ რისმე გატანის შემთხვევა, ვინაიდან იგი გატეხვასთან შედარებით უფრო მსუბუქად ისჯება. აღნიშნულის ჩამდენს „კათალიკოსთა სამართლით“ უნდა მიესაჯოს საქონლის ანაზღაურება და დახეიბრება, ე.ი. სხეულის რომელიმე ნაწილის მოკვეთა.

მეოთხე მუხლით ძმისა და მამის მკვლელს უნდა მიესაჯოს ხელის მოკვეთა და გამევეება. ხელის მოკვეთა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მკვლელობა ხელით სრულდება.

მეხუთე მუხლის მიხედვით ვინც დანაშაულის გარეშე მოკლავს ვისმე, ან მგზავრს ან მცველს - დაისჯება, მაგრამ სასჯელის სახე დასახელებული არ არის.

მეშვიდე მუხლით თუ ეპისკოპოსი 20 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ეკლესიაში არ იმყოფება, ისე რომ მეფეს ან კათალიკოსს არ გაუგზავნია ან არ არის თავისი სამწყსოს მოსანახულებლად, ან არ ყოფილა ავად, ანდა სისტემატურად ქორეპისკოპოსს არ აგზავნის თავის სამწყსოში სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად, არ იცავს ეკლესიას, მის ქონებას, დიდი სჯულისკანონის წინააღმდეგ ნებას რთავს „უხვედრო“, ე.ი. ნათესავთა შორის ქორწინებაზე, ასეთი ეპისკოპოსი უნდა დაიწყევლოს და ექსორია ქმნილ იყოს თავისი საყდრიდან.

მერვე მუხლი ავალდებულებს ეპისკოპოსს, რომ სამღვდელო და სადიაკვნო კანდიდატებს ხელი არ დაასხას გამოცდის, ე.ი. შემოწმების გარეშე.

მეცხრე მუხლი უკრძალავს ეპისკოპოსს ჩაერიოს სხვა ეპისკოპოსის საქმიანობაში. ამ მუხლის დარღვევისთვის სანქციად შეჩვენებაა გათვალისწინებული.

მეთათე მუხლით უნდა ჩამოშორდეს სამღვდელო პატივიდან ისეთი მღვდელმსახური, რომელიც ზიარებას ვისმე ერისკაცის ხელით გაუგზავნის, ხოლო მეთერთმეტე მუხლით თუ ეპისკოპოსმა ასეთი მღვდელი არ დასაჯა, მაშინ იგი უნდა დაიწყევლოს.

მეთორმეტე მუხლის მიხედვით ქორეპისკოპოსი ვალდებულია დადიოდეს საეპისკოპოსოში და ამოწმებდეს სარწმუნოებრივი წესების შესრულებას: მარხვის დაცვას, უქმეების შენახვას და სხვა.

მეცამეტე მუხლით ყველას ეკრძალება ეპისკოპოსის და ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ და ხელის შეშლა. მეთოთხმეტე მუხლი აღნიშნული მუხლის დამრღვევს მეფის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად განიხილავს.

მეთხუთმეტე მუხლი მიუთითებს, რომ თუ ეპისკოპოსი სარწმუნოებრივ საკითხებში წინააღმდეგება კათალიკოსს და არ შეისმენს მის შეგონებას, ეს საქმე კარგად უნდა გამოიძიონ და თუ ეპისკოპოსის დანაშაული კათალიკოსის მიმართ დამტკიცდება, ასეთი ეპისკოპოსი მეფის მიერ ექსორია-ქმნილ უნდა იყოს.

მეთექვსმეტე მუხლის მიხედვით მეფის მოღალატე სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

მეჩვიდმეტე მუხლით კათალიკოსის და ეპისკოპოსის მაგინებელი უნდა დასჯილიყო „დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით, კერძოდ კი წმიდათა მოციქულთა 55-ე კანონის მიხედვით,

სადაც ვკითხულობთ: „უკუეთუ ვინმე მოყუასმან აგინოს ეპისკოპოზსა, - განიკუეთენ, რამეთუ თქმულ არს: „მთავართა ერისა შენისასა არა ჰრქუა ძ რი.“

მეთვრამეტე მუხლმა სასტიკად აუკრძალა მღვდელმთავრებს უღირსი პირების მღვდლად ან დიაკვნად კურთხევა ქრთამის საფუძველზე. ძეგლში, კერძოდ კი, როგორც ზემოთ აღნიშნა, მე-8 მუხლში მითითებულია, რომ მღვდელმთავარმა ხელდასხმამდე უნდა გამოცადოს სამღვდლო და სადიაკვნო კანდიდატები. „კათალიკოსთა სამართალი“ წყევლას უგზავნის როგორც მაკურთხველს, ისე ხელდასხმულს.

მეცხრამეტე მუხლი ყველას მოუწოდებდა, რომ მკაცრად დაეცვათ ძეგლში მოცემული წესები და ყურადღება მიექციათ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, განსაკუთრებით კი ტყვის სყიდვისა და ეკლესიის გაძარცვისათვის. ძეგლი შეჩვენებს უთვლის იმას, „ვინაცა მართალი მრუდად გამოიკულის და მრუდი განამართლოს“.

მეოცე მუხლში საუბარია ეკლესიისთვის და მონასტრისათვის ქონების წართმევის შესახებ, კერძოდ კი მამულის, სოფლის, ვენახის, მიწის და აგარაკის. მნიშვნელოვანია აღნიშნული ცნებების განმარტება: მამული ფართო გაგების სიტყვაა. მამულში შეიძლება ვენახიც შედიოდეს, აგარაკიც და სოფელიც კი. მიწა კი აღნიშნულ შემთხვევაში ადგილს ნიშნავს. ოცდამეერთე მუხლში მითითებულია სახლიც აღნიშნულ ტერმინებთან ერთად.

„კათალიკოსთა სამართალი“ სახლში ოჯახობას გულისხმობს. ამ მუხლშივეა ლოცვა-კურთხევა „კათალიკოსთა სამართლის“ დამცველთა და შეჩვენება მის დამარღვეველთა. ამით მთავრდება მუხლები და მას მოსდევს ხელრთვა, ანუ ხელმოწერები.

იმისდა მიუხედავად, რომ ქართლის კათალიკოსი მალაქია აქტიურად მონაწილეობდა ძეგლის შედგენაში, იგი „კათალიკოსთა სამართალს“ ხელს არ აწერს. თავში წერია აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი. მას მოსდევენ კრების მონაწილენი: ქუთათელი, გაენთელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი და ჩიშელი მღვდელმთავრები. ამის შემდეგ ჩამატებულია ერთი მუხლი, რომ ცოლის „უბრალოდ დამგდები“ შეჩვენებული იყოს და „სიკუდილითა განიპატიჟოსო“. ცოლის გაშვებისათვის სიკვდილით დასჯა უცნობია ქართული სამართლისათვის. ეს მუხლი, ქართველ მეცნიერთა ვარაუდით, დამატებული უნდა იყოს. თუმცა, ისიც გაურკვეველია, თუ რისთვის დაუმატეს იგი.

ამგვარია მოკლედ „კათალიკოსთა სამართალი“, რომლის საშუალებითაც ქართულმა ეკლესიამ, ისევე, როგორც მრავალჯერ სხვა დროს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თავის თავზე აიღო ტყვეთა სყიდვის საშინელი ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლა და მტკიცე ხელით შეუდგა წესიერების დამყარებას იმერეთის სამეფოში.

### 3. ხელმწიფის კარის გარიგება

ხელმწიფის კარის გარიგება მეთოთხმეტე საუკუნის ძეგლია და ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერმა, რომელიც გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა. ძეგლის აღდგენაზე მუშაობდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ამ ძეგლის რუსული თარგმნის გამოცემა. ძეგლი ნაკლულია და ძნელად გასაგებიც. ექვთიმემ იპოვა გორში და 12 რუგულიდან გადარჩა მხოლოდ 5.

ხელმწიფის კარის გარიგებაში წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში არის მეფე. ძეგლის მიხედვით მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას. მეფე იწვევს დარბაზს თავისი შეხედულებებით „დიდი წესითა და

უმცროსითა“ მეფე განსაკუთრებული პატივით სარგებლობს. თითოეული მისი ნაბიჯი გაანგარიშებულია: დილით ვინ აცმევს ტანთ, როგორ მიესალმებიან, ვინ აწვდის სასმელს და სხვა. მეგლის მიხედვით მეფის ხელისუფლება შეუზღუდავია. თამალის დროს მეფის ხელისუფლება მსხვილი ფეოდალების აჯანყების შედეგად შეიზღუდა. მეფე დარბაზს თავისი შეხედულებით იწვევდა. დარბაზი, როგორც საერო, ისე საეკლესიო მსხვილი ფეოდალებისაგან შედგებოდა. ოპიხართა სიგელში ჩამოთვლილია დარბაზის შემადგენლობა. მასში შედიოდნენ მსხვილი მოხელეები: ვაზირები, ერისთავები, ეპისკოპოსები და სხვა. დარბაზს მეფისთვის მრჩევლის მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მოწვევა მეფის ნება–სურვილზე იყო დამოკიდებული. მას იწვევდნენ დროდადრო საგანგებო შემთხვევის ან დღესასწაულებთან დაკავშირებით. დარბაზის მოწვევის ორი წესი არსებობდა: დიდი და პატარა. პატარა დარბაზის მოწვევა ხდებოდა სასწრაფო საკითხების მოსაგვარებლად.

სავაზირო მთავრობის მსგავსი დაწესებულება იყო, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. სავაზირო 6 ვეზირისგან შედგებოდა. მეექვსე ვეზირად მსახურთუხუცესი (აპარატის უფროსი) მხოლოდ რუსუდანის დროიდან გვხვდება.

ათაბაგობა (უფლისწულის აღმზრდელი) კი საქართველოში თამარის მეფობის უკანასკნელ წელს შემოიღეს და პირველი ათაბაგი ივანე მხარგრძელი იყო, რომელმაც ათაბაგობა თავისი თხოვნით მიიღო. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელს მწიგნობართუხუცესობა მისცა იმ მიზნით, რომ მეფის ხელისუფლებას ეკლესიაც მორჩილი ჰყოლოდა. მწიგნობართუხუცესი–ჭყონდიდელი (პრემიერ მინისტრი) მეფის შემდეგ პირველი პირია.

გიორგი მესამის დროიდან იხსენიება ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი.

თამარის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო ყურთლუ–არსლანმა, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესი იყო. მაშასადამე, თამარის დროს იყვნენ: მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. მსახურთუხუცესობა თამარ მეფის დროსაც იყო და ეს თანამდებობა ივანე მხარგრძელს ეჭირა. მაგრამ მაშინ მსახურთუხუცესი არ იყო ვეზირი.

სავაზიროს მოწვევის ინიციატივა მეფეს უნდა ეკუთვნოდეს ან მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელს. იგი მუდმივად მოქმედი დაწესებულება იყო თუ დროებით, ე.ი. ისეთი, რომელსაც საჭიროების მიხედვით იწვევდნენ. სავაზიროს იწვევდნენ მეფის სასახლეში და მეფე ხელმძღვანელობდა მას. სხდომის დაწყებამდე ხდებოდა „ჯალაბის გაყრა“. როდესაც სავაზიროში მეფე თავის ადგილს ადგილს დაიჭერდა, მსახურთუხუცესი, როგორც სასხლის ვეზირი, ვეზირებს სხდომის დაწყებას აუწყებდა და მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი თავიანთ ადგილებს იკავებდნენ. ვეზირები სხედან, ამილახორი დგას. იქვე არის მოლარეთუხუცესი, გარეთ იცდიან

მეაბჯრეთუხუცესი,გამგეთუხუცესი,საჭურჭლის ნაცვალი,მესტუმრე და ზარდახნის მწიგნობარი.

სააჯო კარს,როცა ორშაბათობით მწიგნობართუხუცესი–ჭყონდიდელი საქმეების განსახილველად დაჯდებოდა,მასთან ერთად იყვნენ საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარნი.გარდა ამ 2 მწიგნობარისა ,მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელს ექვემდებარებოდან 24 მწიგნობარი.

ექვსი ვეზირისაგან შემდგარ სავაზიროს წინ უნდა უსწრებდეს „4 ვეზირისგან შემდგარი სავაზირო“ მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელი,ამირსპასალარი,მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი.სავაზიროს შესახებ ცნობები მხოლოდ „ხელმწიფის კარის გარიგებაშია“

აღსანიშნავია,რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ძვირფასს ცნობებს შეიცავს მოძღვართ– მოძღვრის შესახებ.დარბაზობის დროს მეფე მას უფრო დიდი პატივით იღებს,ვიდრე კათალიკოსს და მწიგნობართუხუცეს–ჭყონდიდელს.მოძღვართ–მოძღვარი სწავლული ბერია.შეიძლება ის გელათის აკადემიის რექტორი იყოს,მოძღვართა მასწავლებლი,რომელსაც საკუთარი სკოლა ჰქონდა.

ძეგლი გამოცემულია ექ. თაყაიშვილის,ი. დოლიძის და ი.სურგულაძის მიერ.

#### 4. დასტურლამალი

დასტურლამალი ვახტანგ მეექვსის სახელთანაა დაკავშირებული. შედგენილია 1707-09 წლებში.იგი წარმოადგენს კანონთა კრებულს, რომელიც თავისი შინაარსით სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება.მოქმედი იყო XVIII საუკუნის საქართველოში.ძეგლიდან ჩანს, რომ მასში შესული მთელი საკანონმდებლო მასალა ვახტანგ VI-ს არ ეკუთვნის. „დასტურლამალი“ არის სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამების ანუ გარიგების წიგნთა თუ დებულებათა კრებული, რომელიც ვახტანგ VI-მ სისტემატურად დაალაგა, ბევრი თავისი დებულებებითაც შეასო და ერთიან სჯულებად აქცია. ვახტანგს ტექსტი კარგად დაუყვია და თითოეული მათგანისთვის საგანგებო სათაურიც შეურჩევია.

„დასტურლამალი“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. იგი იმდენად ფართო შინაარსის საკანონმდებლო ძეგლი იყო, რომ თავის დროზე ანბანური წესითაც დაულაგებიათ, რათა მოხელეებს და დაინტერესებულ პირთ გაადვილებოდათ კანონებით სარგებლობა.

ძეგლი, პირველ რიგში, იყო სასახლის განაწესი. მასში მოცემულია მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების დახასიათება, მათი ფუნქციების განსაზღვრა,საგადასახადო და საფინანსო საკითხები. დასტურლამალი აღსანიშნავია ეკონომიური



მდგომარეობის დახასიათების გამოც, მას ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ქართული ძეგლი. ძეგლში დახასიათებულია სასამართლო ორგანიზაცია, საპოლიციო აპარატი და საფინანსო ორგანოების მოხელეები. არსებობს ცნობები ვეზირისა და მუსტების შესახებ. დასტურლამალი მოიცავდა სახელმწიფო მოწყობას, რამდენადაც მასში ფართოდაა მასალა „საქალაქო წყობილების“ შესახებ.

ძეგლის შედგენის დროს საქართველოპოლიტიკურად დანაწილებული იყო სამეფო-სამთავროებად; „დასტურლამალი“ განკუთვნილი იყო ქართლის სამეფოსთვის, რომელიც ამ პერიოდში ირანთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო (ძეგლში ირანის შეაპი „ხელმწიფედ“ იხსენიება, ქართლის მეფე კი „ბატონად“). „დასტურლამალის“ შედგენით ქართლის მეფე ცდილობდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას – ერთიანი სამართლებრივი პოლიტიკის გატარებას და ფეოდალთა თვითნებობის აღაგმვას. „დასტურლამალში“ აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადიმობის წესები და ეკონომიკური სისტემა, დახასიათებული არიან მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეები.

„დასტურლამალი“ ერთადერთი ძეგლია, რომელიც შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართლში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომების – ელების – ისტორიისა და ეკონომიკური წყობის შესახებ; ძეგლში დასახელებულია ქართლის და კახეთის საზღვრები, გათვალისწინებულია ქართლის აღწერის წესები, ცალკე (203-ე) პარაგრაფია მიძღვნილი მეფის დასაფლავების ცერემონიალისადმი და ა. შ.

დასტურლამალი პირველად გამოსცა კ.უმიკაშვილმა 1886 წელს სამი ნუსხის მიხედვით, ხოლო მისი გამოცემა ყველა ხელნაწერის მიხედვით ივ. სურგულაძეს უკავშირდება.

დასტურლამალი შედგება სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისგან. მასში შეტანილია გიორგი XI-ის მიერ შედგენილი „დასტურლამალი“, სადედოფლო დასტურლამალი და ყაიყულის შესახებ გარიგება. ასევე ძეგლში გვხვდება ვახტანგის მამის ლევან მეფის მიერ შედგენილი მდივანბეგობის გარიგება და ბოქაულთუხუცესის სარგო. დასტურლამალი ასევე მოიცავს მურდრის დებულებას, რომელიც როსტომ მეფემ გამოსცა 1638 წელს და ყარაის კონის განაწესი. „დასტურლამალი“, როგორც უკვე ვთქვით პირველად პეტრე უმიკაშვილმა გამოსცა (1886 წ.), შემდეგ – ისიდორე დოლიძემ (1970 წ.) და ივანე სურგულაძემ (1970 წ.) 1725 წელს შედგენილი სპარსულიდან „დასტურლამალი“ ინგლისური თარგმანითურთ გამოსცა ვლადიმერ მინორსკიმ (1943 წ.). მისი აზრით, ქართული „დასტურლამალი“ შინაარსით სპარსულის იდენტურია. ქართული და სპარსული „დასტურლამალები“ ერთმანეთს შეადარა ვალერიან გაბაშვილმა (1949 წ.). მან დაასაბუთა, რომ „დასტურლამალი“ ორიგინალური ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია.

## 5. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი

98 მუხლის შემდეგ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში მოთავსებულია ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნი, თუმცა დაზუსტებული არაა რომელ ბაგრატიცაა საუბარი. ივ. ჯავახიშვილის აზრით ბაგრატი კურაპალატი ვერ იქნება, რადგან მას მეფეთ-მეფის წოდება არ ჰქონდა. ბაგრატი მეორე

არ შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი „რეგვენად“ იწოდებოდა. დავით აღმაშენებლის შემდეგ მეფეები აღარ ატარებდნენ კურაპალატობის ტიტულს, შესაბამისად ბაგრატი მეხუთეც გამოირიცხა.

ამ კანონების შესავალი, რომელშიც საუბარია მეფის მიერ ეპისკოპოსების, დიდებულების, აზნაურების და „ჭკვიანთა კაცთა“ შესახებ, მსგავსია ოპიზართა სიგელში, რომელიც ბაგრატი მეოთხეს ეკუთვნის. ბაგრატი მეოთხის სასარგებლოდ დაფუძნებით ის, რომ იმ პერიოდში ქვეყანაში არეულობა იყო და ეს იყო მიზეზი კანონმდებლობის შექმნისა.

საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ მოვანილი 1460 წლის საბუთი, რომელსაც „ბჭედ“ ანუ მოსამართლედ დასახელებული არიან: ეპისკოპოსები, დარბაზის კარის ვეზირები, ქალაქის ვაჭრები და „ქვეყნისა მამასახლისი“. მოსამართლეები აქ დაყოფილია საზოგადოების ფენების, კლასების მიხედვით: ფეოდალების მოსამართლეა დარბაზის ვეზირი, მეფესთან დაახლოებული პირი, ვაჭრებსა და გლეხობას ცალ-ცალკე მოსამართლეები ჰყავთ. ეს ძველი სამეცნიერო ლიტერატურაში ყალბადაა მიჩნეული. ამის მიუხედავად ამ საბუთით სარგებლობა შეიძლება. ის გარემოება, რომ ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტთან ამ ძველის ერთი ნაწილის მსგავსება ამჟღავნებს იმას ნიშნავს, რომ ჟურულთა საბუთის შემდგენელი იცნობდა ბაგრატი კურაპალატისად მიჩნეულ სამართლის წიგნს ან მის ფრაგმენტს. ჟურული არის ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, მისი მოსამართლე იქნებოდა კარის ვეზირი ან დიდებული. მთავარი ის არის, რომ ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად მიჩნეული სამართლის ნორმა მოსამართლეების ასესახებ, საკმაოდ გავრცელებული, მრავალთავის ცნობილი ნორმა ყოფილა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, 102-ე მუხლის შემდეგი მუხლები სხვადასხვა დროს შედგენილი კანონიკური სამართლის ძეგლებია ან შეიძლება ერთი კანონმდებლის მიერ იყოს შედგენილი, მაგრამ შესაძლებელია, მისი ავტორი ბაგრატი კურაპალატი არ იყოს. ამასთანავე ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ნაწილი საერო შინაარსის ნორმებია, ხოლო ნაწილი კანონიკური. ყველაფერი ეს შესასწავლია. ივ. ჯავახიშვილის აზრით ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ბოლოში დართული კანონები შეცდომითაა მიწერილი ვახტანგ მეფის კომისიის მიერ. საყურადღებოა იმის ცოდნა, თუ რით ხელმძღვანელობდა ეს კომისია.

როგორც ვხედავთ, ჯერ-ჯერობით საკმარისი მასალა არ არის იმისთვის, რომ საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს საკითხი. იმის შესახებ, ტუ 99-ე, მე-100, 101-ე 102-ე მუხლები რომელ ბაგრატი კურაპალატს ეკუთვნის. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ოთხი მუხლი მეათე საუკუნისაა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, და ორი ბაგრატიონიდან ჩვენ უფრო ბაგრატი მეოთხე მიგვაჩნია. რაც შეეხება მომდევნო მუხლებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლები ბაგრატი კურაპალატს არ ეკუთვნის, შედგენილია უფრო გვიან და შესაძლებელია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ.

## 6. ბექა- ალბუღას სამართალი

მეგლი შედგენილია ბექა მანდატურთუხუცესის(1285-1305) და ალბუღა ათაბაგის მიერ(1381-1386). მისი სტრუქტურა ასე გამოიყურება:

1)შესავალი ეკუთვნის ალბუღას;

2)1-65 მუხლები ბექას;

3)66-98 მუხლები ალბუღას;

4)100-103 მუხლები ბაგრატ კურაპალატს.

5)104-160 მუხლები ბაგრატს;

6)161-170 კანონიკური სამართლის მუხლებია;

7)171-175 წინა მუხლების გამეორებაა.

1672 წლის ხელნაწერით,რომელიც უძველესია და 98-ე მუხლით მთავრდება,სამართლის წიგნს ეწოდება:„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე”

66-ე მუხლის წინ ალბუღა აცხადებს,რომ მან გამოიკვლია და შეისწავლა სრულიად სამცხე-დანართი.წიგნი ეხება უმეტესად სისხლის სამართლებრივ ნორმებს-მკვლელობა, დაჭრა, მეკობრეობა, მექრთამეობა, ცილისწამება და სხვა. სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებს – საკუთრების უფლება, გირავნობა, სესხი, ნასყიდობა, ჩუქება, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობა და ა.შ; სამოსამართლო სამართლის საკითხებს.

ალბუღას განცხადებით მას არაფერი შეუცვლია ბექას კანონებაში,თუმცა მან გაუკეთა შესავალი და ბექას დროინდელი ფულის ერთეული-ყაზანური გიორგაულით-გიორგი მეხუთის სახელით მოჭრილი ფულის ერთეულით შეცვალა.ამას გარდა,ალბუღამ და მისმა საბჭომ საკმარისად არ ცნეს ბექას სამართალი და გააგრძელეს,ანუ საკუთარი კანონები დაუმატეს.ბექას სამართალს საკანონმდებლო ძალა ალბუღამ მისცა და მისსავე სახელს ატარებს.

ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნი 1381-1386 წლებით უნდა თარიღდებოდეს და ადგილობრივი დანაშაულებისაა.იგი მხოლოდ სამცხე საათაბაგოსთვის არის შედგენილი.ამ სამალთლის წიგნით უმაღლესი ხელისუფალი არა მეფე,არამედ ათაბაგია,ხოლო ეკლესიის უმაღლესი იერარქია არა კათალიკოსი,არამედ მაწყვერელი.

როგორც ვთქვით,98 მუხლის შემდეგ წიგნში მოთავსებულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი,თუმცა დაზუსტებული არაა რომელ ბაგრატზეა საუბარი.ივ.ჯავახიშვილის აზრით ბაგრატ კურაპალატი ვერ იქნება,რადგან მას მეფეთ-მეფის წოდება არ ჰქონდა.ბაგრატ მეორე არ შეიძლება იყოს,ვინაიდან იგი „რეგენად” იწოდებოდა.დავით აღმაშენებლის შემდეგ მეფეები აღარ ატარებდნენ კურაპალატობის ტიტულს,შესაბამისად ბაგრატ მეხუთეც გამოირიცხა.

ამ კანონების შესავალი, რომელშიც საუბარია მეფის მიერ ეპისკოპოსების, დიდებულების, აზნაურების და „ჭკვიანთა კაცთა“ შესახებ, მსგავსია ოპიზართა სიგელში, რომელიც ბაგრატ მეოთხეს ეკუთვნის. ბაგრატ მეოთხის სასარგებლოდ დავუმატოთ ის, რომ იმ პერიოდში ქვეყანაში არეულობა იყო და ეს იყო მიზეზი კანონმდებლობის შექმნისა.

საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ მოვანილი 1460 წლის საბუთი, რომელსაც „ბჭედ“ ანუ მოსამართლედ დასახელებული არიან: ეპისკოპოსები, დარბაზის კარის ვეზირები, ქალაქის ვაჭრები და „ქვეყნისა მამასახლისი“. მოსამართლეები აქ დაყოფილია საზოგადოების ფენების, კლასების მიხედვით: ფეოდალების მოსამართლეა დარბაზის ვეზირი, მეფესთან დაახლოებული პირი, ვაჭრებსა და გლეხობას ცალ-ცალკე მოსამართლეები ჰყავთ. ეს ძველი სამეცნიერო ლიტერატურაში ყალბადაა მიჩნეული. ამის მიუხედავად ამ საბუთით სარგებლობა შეიძლება. ის გარემოება, რომ ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტთან ამ ძველის ერთი ნაწილის მსგავსება ამჟღავნებს იმას ნიშნავს, რომ ჟურულთა საბუთის შემდგენელი იცნობდა ბაგრატ კურაპალატისად მიჩნეულ სამართლის წიგნს ან მის ფრაგმენტს. ჟურული არის ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, მისი მოსამართლე იქნებოდა კარის ვეზირი ან დიდებული. მთავარი ის არის, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად მიჩნეული სამართლის ნორმა მოსამართლეების ასესახებ, საკმაოდ გავრცელებული, მრავალთათვის ცნობილი ნორმა ყოფილა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, 102-ე მუხლის შემდეგი მუხლები სხვადასხვა დროს შედგენილი კანონიკური სამართლის ძეგლებია ან შეიძლება ერთი კანონმდებლის მიერ იყოს შედგენილი, მაგრამ შესაძლებელია, მისი ავტორი ბაგრატ კურაპალატი არ იყოს. ამასთანავე ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ნაწილი საერო შინაარსის ნორმებია, ხოლო ნაწილი კანონიკური. ყველაფერი ეს შესასწავლია. ივ. ჯავახიშვილის აზრთ ბექა-აღბულას სამართლის წიგნში ბოლოში დართული კანონები შეცდომითაა მიწერილი ვახტანგ მეფის კომისიის მიერ. საყურადღებოა იმის ცოდნა, თუ რით ხელმძღვანელობდა ეს კომისია.

როგორც ვხედავთ, ჯერ-ჯერობით საკმარისი მასალა არ არის იმისთვის, რომ საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს საკითხი. იმის შესახებ, ტუ 99-ე, მე-100, 101-ე 102-ე მუხლები რომელ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ოთხი მუხლი მეათე საუკუნისაა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, და ორი ბაგრატიონიდან ჩვენ უფრო ბაგრატ მეოთხე მიგვაჩნია. რაც შეეხება მომდევნო მუხლებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მუხლები ბაგრატ კურაპალატს არ ეკუთვნის, შედგენილია უფრო გვიან და შესაძლებელია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირის მიერ.

## 7. გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დება

გიორგი მეხუთე 1318–1346 წლებში მეფობდა. მან სამართლიანად დაიმსახურა „ბრწყინვალის“ სახელი. იგი საგარეო და საშინაო ვითარებაში კარგად ერკვეოდა. მეფემ გაატარა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რეფორმები. იგი დაუახლოვდა ჩობა ნოინს

დამოაწესრიგა მონღოლებთან ურთიერთობა. ასევე მოიწვია ურჩი მთავრები კახეთში ცივის მთაზე და ამოწყვიტა ისინი. დასავლეთ საქართველო შემოიერთა 1329 წელს, ხოლო მესხეთი 1334 წელს. როცა დასავლეთ საქართველოს მეფე მიქელი გარდაიცვალა, გიორგიმ მისი შვილი ბაგრატის თბილისში წამოიყვანა და ამით ორმეფობა მოსპო. მესხეთის მთავრის, გიორგის მეხუთეს ბიძის გარდაცვალების შემდეგ, მესხეთიც საქართველოს მეფეს დაუმორჩილა. გიორგიმ მოხსნა ეკონომიკური საკითხებიც. გადაწყვიტა ხარკის საკითხი, მოჭრა მონეტა და გახსნული სოფლის მოსახლეობა ჩამოასახლა.

გიორგი მეხუთე მთიულეებს შეუდგინა სამართლის წიგნი, რადგან განსაკუთრებით გახშირებული იყო სხვადასხვა სახის დანაშაული. ძეგლი დაიდო 1334-1335 წლებში და შედგება შესავლისა და 45 მუხლისაგან. აქედან ეხება სამოქალაქო სამართალს დანარჩენი კი ეხება სისხლის სამართალს. მასში ჩამოთვლილია შემდეგი დანაშაულები: ერისთავის, გამგებლის, ხევისბერის, ჰეროვანის, ციხისთავის დედ-მამისა და ძმის მკვლელობა. სამხედრო ვალდებულებისთვის თავის არიდება. ცოლის გაშვება და მოტაცება. ციხის დაქცევა. თავდასხმა. ამიერთ და იმიერთ ერთმანეთთან სამტროდ მიდგომა. მეკობრეობა. ვალი და პროცენტი. მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა და სხვა. მთიულეთი განვითარებით ბევრად ჩამორაცემოდა ბარს. ძეგლის მიხედვით შურიძიება შეძლულია ერთი მხრივ დროით, მეორე მხრივ კი დროით, მაგრამ არა აკრძალული. შურისძიება არ გადადის გვარზე, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო.

„ძეგლის დადების“ ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია, ამიტომ კანონმდებელი იძულებულია მიიღოს სისხლის აღების ჩვეულება. იგი ცდილობს, სადაც კი შესაძლებელია, გაატაროს განვითარებული სამართლის საწყისები.

ძეგლი ქართულად გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ, მოკლე შესავლით. რუსულ ენაზე გამოვიდა 1836 წელს და ასევე იგი გადათარგმნა ინგლისურად ოლივერ უორდროპმა.

მეფე გიორგიმ პირადად შემოიარა მთიულეთი, ჩამოიყვანა იქიდან წარმომადგენლები თბილისში, მოიწვია დარბაზი და შეადგინა სამართლის წიგნი.

ძეგლი შედგება შესავლისა და 45 მუხლისაგან, მასში ძირითადად მოცემულია სისხლის სამართლის და ასევე სამოქალაქო სამართლის ნორმები. ძეგლი მოქმედებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

მასში ჩამოთვლილი შემდეგი დანაშაულები:

- 1) მკვლელობა
- 2) სამხედრო ვალდებულებისთვის თავის არიდება
- 3) ცოლის გაშვება და მოტაცება
- 4) ციხის დაქცევა
- 5) თავდასხმა
- 6) უარზანგობა

- 7) დაჭრა და ასოთ მიღება
- 8) ასაზიას მოკვლა ან დაჭრა
- 9) ამიერთ და იმიერთ ხევის ერთმანეთთან სამტროდ მიდგომა
- 10) მეკობრეობა
  
- 11) ვალი და პროცენტი
- 12) გაყრა
- 13) ბეთალმანი ქონება
- 14) მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა

შურისძიება შეზღუდულია, მაგრამ აკრძალული არ არის. სასჯელის სახეებია გაძევება და გაპარვა. კანონმდებელი იხილავს დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხს. შურისძიება გარკვეულ შემთხვევაში დანაშაულად არ განიხილება და გამართლებულია.

Zeglis SesavalSi saubaria Zeglis Sedgenis mizezebzec: `gavigoneT, romel didi usamarTlo da mZlavrebul qmniliyi erTmaneTsa zeda, da sisxlis msubuqobisaTAs advil Cnda erTmaneTis Ralatad dasxma da daqceva cixeTa, sikvdili, colis wagura da ubralod dagdeba, da mravalferi ulusoba da yol samarTali aRar iyo-Ra~.

## **8. დარბაზი და სავაზირო გაერთიანებულ საქართველოში. შემადგენლობა და ფუნქციები**

დარბაზი იყო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ანუ სახელმწიფო საბჭო, ანუ სამეფო კარი. მისი ფუნქცია იყო დიდმნიშვნელოვანი სახემწიფო საქმეების განხილვა მეფის დასწრებით და მონაწილეობით, რთული იურიდიული საკითხების გადაწყვეტა, დიდებული მოხელეების დასანიშნავად და ასე შემდეგ. მისი შემადგენლობა ბაგრატ IV-ს „ოპიზის სიგელის“ მიხედვით იყო: უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, ერისთავთერისთავნი და ერისთავნი და ყველა ხეობის სასამართლო საქმის მცოდნე აზნაურები, თუმცა ეს არ არის დარბაზის სტაბილური შემადგენლობა.

დარბაზი იმართებოდა ორი წესით: დიდი და მცირე.

დიდი სხდომა იყო ღია სხდომა რომელზეც დარბაზის წევრების გარდა, სხვა მოხელეებიც ესწრებოდნენ. დარბაზობა დიდი წესით დარბაზის საზეიმო სხდომაც კი იყო. მას იწვევდნენ დღესასწაულებზე, მეფის ტახტზე ასვლისას, ომისა და მსგავს შემთხვევებში.

მცირე სხდომაზე მხოლოდ მუდმივი წევრები ესწრებოდნენ, საერო და სასულიერო პირები და ეს იყო საქმიანი სხდომა, რომლის მოწვევაც ხდებოდა სასწრაფო საკითხების გადაწყვეტის მიზნით. მის კომპეტენციაში შედიოდა: 1) კანონმდებლობის მეღიება, 2) უზენაესი მართლმსახულების განხორციელება, 3) ომის გამოცხადება ან ზავის დადება, 4) მაღალი თანამდებობის პირების არჩევა დანიშვნა, 5) სტუმარტა დახვედრა და მიღება, 6) დარბაზობა მეფის ხელდასხმისა თუ გამარჯვებული ლაშქრის დასახვედრად.

სავაზირო სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, რომელშიც შედიოდნენ ვაზირები ანუ მინისტრები. სავაზირო ექვსი ვაზირისგან შედგება: 1) მწიგნობართუხუცესი – ჭყონდიდელი. იგი ითვლება პირველ ვაზირად ანუ ვაზირთა შორის უპირველესად. დანარჩენი ხუთი ვაზირი ორ ჯგუფად იყოფა: „სამთა ვაზირთა“ და „ორთა ვაზირთა“ ჯგუფად.

სამთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ: 1) ათაბაგი 2) ამირსპასალარი 3) მანდატურთუხუცესი  
ორთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ: 1) მეჭურჭლეთუხუცესი 2) მსახურთუხუცესი

## 9. სამთა ვაზირთა ჯგუფი. შემადგენლობა და ფუნქციები

სამთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ: 1) ათაბაგი 2) ამირსპასალარი 3) მანდატურთუხუცესი

**ათაბაგი** სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის და პატივით უთანაბრდება ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს. მის ფუნქციას წარმოადგენდა უფლისწულის აღზრდა. ეს თანამდებობა ივანე მხარგმელის პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნა დაწესებული. ივანე მხარგრძელს ათაბაგობის თანამდებობის მიღებით სურდა პრემიერ-მინისტრს ანუ მწიგნობართუხუცესს გათანაბრებოდა ან გაესწრო უფლებებითა და პატივით. ათაბაგი დიდი და საპატიო ვაზირი იყო, წოდებრივად ჭყონდიდელზე დაბლა, ამირსპასალართან ერთად არის. ათაბაგის თანამდებობა შეიძლება სხვა თანამდებობასთან ყოფილიყო შეერთებული.

**ამირსპასალარი** ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით მეთორმეტე საუკუნეში ეწოდა სამხედრო საქმის მეთაურს. იგი სამხედრო უწყების ხელმძღვანელია და შედის სამთა ვაზირთა ჯგუფში, მოიხსენიება ათაბაგის შემდეგ. მას ემორჩილებოდა მთელი ჯარი და ადგენდა ლაშქრობის გეგმას. როგორც ცნობილია, საქართველოს მეფე ომის დროს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯარს, მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც მეფე ომში არ იღებდა მონაწილეობას, ჯარის მთავარსარდლობა ამირსპასალარს ევალებოდა. ვაზირობის დროს, თუ ომის საკითხი იხილებოდა, პირველს სიტყვას ამირსპასალარი ამბობდა.

ამირსპასალარის ქვემდებარე ჯარი შედგებოდა:

- 1) სამეფო სპა ანუ საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან გამოყვანილი მოლაშქრეები;
- 2) ყივჩაღთა ჯარი;
- 3) კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიც ქვეყნებიდან „სამსახურში“ გამოყვანილი ჯარი;
- 4) მონა სპა ანუ მეფის პირადი მცველი ჯარი. (დავით აღმაშენებელს ასეთი ხუთი ათასი კაცი ჰყოლია). ამირსპასალარის მოადგილე იყო **ამირახორი**. ქვემდებარებოდნენ შემდეგი მოხელეები: **მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახანის უხუცესი, აჩუხჩი, ამირჩქარი და მერემეთუხუცესი.**

ამირახორი- წოდებით უტოლდებოდა მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს, მაგრამ სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი არ იყო. სარგებლობდა სათათბირო ხმის უფლებით დარბაზობის დროს. ხელმძღვანელობდა ცხენოსან ლაშქარს.

მებაჯრეთუხუცესი და ზარდახანის უხუცესი- მათ ხელში იყო სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობები. ისინი ამილახორის ხელქვეითები იყვნენ.

აჩუხი- მეფის დაცვის უფროსი უნდა ყოფილიყო.

ამირჩქარი- მასზე ცნობები ჯერ არ არის ზუსტი.

მერემეთუხუცესი- ჩაბარებული ჰქონდა საგანგებო დაწესებულება სარემო.

ამირსპასალარის უფლებებიდან ყურადღებას იპყრობს მისი უფლება, რომ უმისოდ მეფე მიწას ვერ ფასცემდა, ვერც დასახლებულს და ვერც დაუსახლებელს, რადგან სწორედ მიწას უკავშირდება ქვეყნის შემოსავალი და სიძლიერე. ეს ყველაფერი კი ამირსპასალარის ფართო უფლებამოსილებაზე მეტყველებს.

მანდატურთუხუცესი არსებობს მეთერთმეტე საუკუნიდან. შედის საპატიო ვაზირთა სამეულში. უთანაბრდება ათაბაგს და ამირსპასალარს. მანდატურებს სხვადასხვა ფუნქცია აქვთ, ისინი მეფის მცველები არიან, სავაზიროს სხდომის დროს იცავენ წესრიგს, ზოგჯერ ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობენ მეფის ვენახების სამუშაოებს. არ მონაწილეობენ ომსა და ლაშქრობაში, რჩებიან სამეფო კარზე წესრიგის დამცველებად. მანდატურთუხუცესის მითითებით სრულდებოდა დარბაზობის განაწესი. მანდატურთუხუცესები ატარებდნენ ოქროს არგანს, მანდატურები ვერცხლისას.

მანდატურთუხუცესის მოადგილე იყო ამირეჯიბი. ემორჩილებიან მოხელეები: ეჯიბები, გამგეთუხუცესი და მესტუმრე.

ამირეჯიბი- მოადგილე. მას ყოველთვის შეეძლო მეფის ნახვა. აქტიურად მონაწილეობდა დარბაზობის დროს. ესწრება ვაზირთა სხდომას და ისეთივე პატივი აქვს, როგორც ვაზირებს. ემორჩილებიან ეჯიბები, გამგეთუხუცესი და მესტუმრე.

ეჯიბი- კარისკაცი, მეკარე.

მესტუმრე- ევალებოდა მოციქულთა დახვედრა, მეძღვნეთა დასაჩუქრება.

განმგეთუხუცესი- დგას ამილახორზე და ამირეჯიბზე დაბლა. არ ჰქონდა ვაზირობაზე დასწრების უფლება. ემორჩილებოდნენ საგანმგებოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი და სარემოს ნაცვალი.

## 10. ორთა ვაზირთა ჯგუფი. შემადგენლობა და ფუნქციები

ორთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ: 1) მეჭურჭლეთუხუცესი 2) მსახურთუხუცესი



მეჭურჭლეთუხუცესი „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ძველი ვაზირია. იგი იყო მეჭურჭლეთა უფროსი და განაგებდა საჭურჭლეს. მისი მოადგილე კი იყო ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა. საჭურჭლე ჭურჭლის საწყობს ნიშნავდა, ხოლო შემდგომში განძისა და სიმდიდრის ზოგადი მნიშვნელობა მიეცა. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში საჭურჭლე სახელმწიფო ხაზინას ერქვა, სადაც ინახებოდა ფული, ძვირფასი ჭურჭელი, განძეული, თვალმარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი.

საჭურჭლისგან განსხვავებულია სალარო. იგი არ შედიოდა მსახურთუხუცესის შემადგენლობაში, არამედ ექვემდებარებოდა მსახურთუხუცესს. მასში ინახებოდა არაყოველღიურად სახმარი ნივთები და სამკაულები. იყო განძის საწყობი.

მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: საჭურჭლის ნაცვალი, მუშრიბი, საჭურჭლის მუქიფი და მეჭურჭლეები.

მუშრიბი - ზედამხედველი იყო. მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა სასახლის ქონების შესახებ. დავალებული ჰქონდა ბაჟისა და სავაჭრო გადასახადების ფუნქცია.

საჭურჭლის მუქიფი - ძღვენთა გამგეა. ექვემდებარებოდნენ მეჭურჭლეები.

მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ფინანსთა მინისტრს ექვემდებარებოდა ასევე: ძველი ქალაქები, ვაჭარნი, ქალაქის ამირანი, „მეჭურჭლენი ქალაქისანი“, სავაჭრო გადასახადი და ბაჟი. მასვე ეკითხებოდა აღებ-მიცემობის საკითხი. მეჭურჭლეთუხუცესი ამავე დროს შეიძლება მსხვილი მემამულეც ყოფილიყო, მაგალითად ერისთავთერისთავი.

რუსუდან მეფემდე მსახურთუხუცესი არ ყოფილა ვაზირი, იგი მას გაუხდია ამ წოდების. მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა: სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი. მსახურთუხუცესს ებარა ასევე მეფის პირადი მეურნეობა, სხვადასხვა „საფარემონი“ - ფარემთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, ცხვარი და საქონელი.

სალაროს სათავეში იდგა მოლარეთუხუცესი და მას ექვემდებარებოდა ყველა სახის სალარო, როგორც უძრავი ასევე მოძრავი.

ფარემთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა საფარემო და ფარემნი. საფარემონი - შინაური მეურნეობისთვის განკუთვნილი დაწესებულება და საწყობი იყო. არსებობდა სამკერვალო საფარემო, სამრეცხაო საფარემო და სხვა.

მეხილეთუხუცესი - ექვემდებარებოდა სახილე და მეხილეები.

ციცხვთუხუცესი - მისი მოხელეები იყვნენ ციცხვნი, განაგებდნენ სასახლის ჭურჭელს, შინ სახმარ სხვადასხვა ჭურჭელს, აბანოს გათბობას, სახლის დაგვას, შემის დაჩეხვას და ა.შ.

## 11. ქართლის მეფე. მისი უფლებამოსილება

გვიანფეოდალურ ქართლში სუსტდება მეფის ინსტიტუტი. ეს ჩანს იქიდან, რომ სამეფოს მეთაური მსხვილი ფეოდალების რანგშია, მას ბატონსაც უწოდებდნენ ხოლმე. მეფის ხელისუფლება რომ სუსტია ამის დამადასტურებელია შესაბამისი პერიოდის სამართლის ძეგლებიც. ვახტანგ მე-6 აღნიშნავს, რომ მეფეს მხოლოდ სახელი ჰქონდა შერჩენილი მეფის, ხოლო მისი შესაფერისი საქმეს არაფერს აკეთებდა. მეფის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია ასევე ვახტანგ მე-6-ის მიმართვა იმის თაობაზე, რომ თუ მისი კანონი არ მოეწონებოდათ, ან უკეთეს რაიმეს მოიგონებნენ, მაშინ ჩაეწერათ ამ სამართლის წიგნში.

განსაკუთრებით გაერთიანებული ფეოდალური საქართველოსგან, გვიანფეოდალური ქართლის მეფე მხოლოდ თვითონ როდი აწერდა ხელს სიგელებზე, არამედ მასთან ერთად ხელს აწერდნენ დედოფალი, ბატონიშვილები და სხვა მოხელეები.

გვიანფეოდალური ქართლის მეფის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია ისიც, რომ მეფე არ ზრუნავდა ხშირად სისხლის სამართლის სისტემაში მოყვანაზე და მიმართავდა მხარეებს, რომ მათ საქმე მორიგებით დაემთავრებინათ.

ქართლში მეფის ხელისუფლების სისუსტის მიუხედავად, მეფეები ცდილობდნენ თავისი გავლენის გაძლიერებას ამის დამადასტურებელია ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის უამრავი მუხლი, რომლებშიც იმპერატიული მოთხოვნითაა გამოხატული, რომ ზოგიერთი კატეგორიის საქმეები მხოლოდ მეფის ნება-სურვილით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგალითად, ვახტანგ მე-6 კრძალავდა თვითნებურად გადასახადების დაწესებას, სოფლის გაყიდვას მისი ნებართვის გარეშე.

გვიანფეოდალური ქართლის მეფე ყველაზე უფრო მსხვილი მესაკუთრეა თავის სამეფოში. მის შემოსავალში შედის არა მარტო საკუთარ მამულში მოწეული ჭირნახული, სურსათ სანოვაგე, არამედ გადასახადების გზით აკრეფილი სიმდიდრეც.

მეფის ფუნქციებიდან ყურადღებას იპყრობს საკანონმდებლო ფუნქცია. ქართლის მეფე ამ ფუნქციას ახორციელებს დარბაზთან ერთად. კანონების შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობდნენ ასევე საეკლესიო და საერო მსხვილი ფეოდალები. ზოგიერთ საკანონმდებლო აქტს ქართლის მეფე უშუალოდ, სხვების გარეშე ღებულობდა. მაგალითად „დასტურლამალის“ მიღებაში მეფის გარდა სხვა პირები არ ჩანან.

ქართლის მეფის სხვა ფუნქციებიდან აღსანიშნავია უმაღლესი მმართველობის განხორციელების ფუნქცია. იგი გულისხმობდა: სამეფო კარის მართვას, სამხედრო გამგებლობას, საეკლესიო გამგებლობას, ფინანსების მოწესრიგებას, საგარეო ურთიერთობის მოწესრიგებას. დასახელებული ფუნქციების განხორციელება მეფის მიერ არ ნიშნავს იმას, რომ სათანადო მოხელეები არ არსებობდნენ და მხოლოდ მეფე ახორციელებდა მათ უშუალოდ. მეფეს თავისი ინიციატივით შეეძლო მოეკიდა ხელი ამა თუ იმ საქმისათვის, უმეტეს შემთხვევაში კი მეფის მმართველობა გამოიხატებოდა სათანადო მოხელეთა დანიშვნასა და მათი საქმიანობის

კონტროლში. ასე, მაგალითად: მეფე აწესრიგებდა სახელმწიფო გადასახადებს, ბაჟს და ადგენდა მათი აკრეფის წესებს, ნიშნავდა სამხედრო საქმის სპეციალისტებს, აკონტროლებდა მათ საქმიანობას. იგივე ვითარებაა სხვა დარგთა მმართველობის ხაზითაც.

## 12. ბატონიშვილი ვახტანგის სამართლის წიგნი

ძველი შედგენილია ვახტანგ მეექვსის ჯანიშინობის პერიოდში 1703-09 წლებში. მისი სამართლის წიგნის სტრუქტურა გამოიყურება ასე :

- სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა;
- ებრაული სამართალი;
- ბერძნული სამართალი;
- სომხური სამართალი;
- კათალიკოსთა სამართალი;
- ბექა-აღბუღას სამართალი;
- გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება.

კრებულის მთავარი და ძირითადი ნაწილი ვახტანგის სამართლის წიგნია, რომლის სათაურია “სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა”. იგი შედგენილია იმ დროს, როდესაც ვახტანგი გიორგი მეთერთმეტის მაგივრად იჯდა ქართლის გამგებლად. წიგნის შესავალში გიორგი მეფე მოხსენიებულია, როგორც ქართლის მეფე და ირანის მთავარსარდალი.

მისი ძირითადი წყარო არის ქართული ჩვეულებითი სამართალი. ვახტანგის სამართლის შემადგენელი სამართლის წიგნებიდან იგი იღებს ამა თუ იმ ინსტიტუტს, აძლევს სხვადასხვა შინაარსს, ფორმას, რომელიც კანონმდებელს თავისი დროისა და ვითარების შესაბამისად მიაჩნია. ვახტანგის სამართლის წიგნი ერთიანი სისტემით არ არის დაწერილი, 204-ე მუხლის შემდეგ ვხვდებით კანონმდებლის ბოლოსიტყვაობას და მას 205-ე მუხლი მოსდევს. აქედან გამომდინარე ამ ძეგლის პირველი ვარიანტი 204 მუხლით მთავრდებოდა. 205-ე მუხლამდე სამართლის წიგნი გარკვეულ სისტემაზეა აგებული, საკითხები დალაგებულია გარკვეული პრინციპით, მსგავსი ინსტიტუტები ერთმანეთს მოსდევს. 205-ე მუხლიდან კი კანონების დალაგებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ვხვდებით განმეორებებს და სხვა.

შესავალში ვახტანგი მოგვითხრობს, რომ სამართლის წიგნი შეადგინა კათალიკოსის, მთავარეპისკოპოსის, მიტროპოლიტ-წინამძღვრისა და დიდებულთა მონაწილეობით. კანონმდებელი ამბობს, რომ თუ მოსამართლე მის სამართლის წიგნს არ მოიხმარს, მაშინ ახალი ნორმა შეადგინოს და მის სამართლის წიგნს ჩაუერთოს, ისე რომ მისივე სამართლის წიგნი უცვლელი დატოვოს. კანონმდებელმა იცის რამდენად მრავალფეროვანია ცხოვრებისეული კაზუსების რიცხვი და ამიტომ უშვებს ჩამატების შესაძლებლობას.

კანონმდებელი თვლის, რომ უცხო ქვეყნის (ბერძნული, ებრაული, სომხური) სანართლის წიგნები ნაკლებად გამოსადეგია, ვიდრე მის მიერ შედგენილი, რომელიც უფრო ახლოსაა ქვეყნის

ჩვეულებასთან. ასევე ეროვნული სამართლის წიგნებთან ვახტანგის სამართლის წიგნს ის უპირატესობა აქვს, რომ ეს უკანასკნელი უფრო ადრეა შედგენილი. როგორც წესი ძველი დროის კანონები ახალი დროისას არ შეესაბამება.

ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების ძალა დამოკიდებული იყო მეფის ხელისუფლებულს, ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება–სისუსტეზე. სასამართლო პროცესზე ეს წიგნი გამოჰქონდათ და მდივანბეგი კითხულობდა. ვახტანგის კანონებს ძალა მხოლოდ ქართლში ჰქონდა, მაგრამ ასევე იყენებდნენ კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში.

ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილია როგორც კანონმდებელი წერს ძველი ჩვეულებების შესწავლის საფუძველზე, ამიტომ ზოგიერთი ნაწილი, სამართლის განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩენილობის დაღს ატარებს, კერძოდ ეს ეხება ორდალებს ანუ მტკიცებით საშუალებას. წიგნის მეექვსე მუხლში, ჩამოთვლილია შემდეგი საშუალებები:

1. ფიცი
2. შანთი
3. მდულარე
4. ხმალი
5. მოწმე
6. ცოდვის მოკიდება

არის მოსაზრება, რომ ორდალები საქართველოში სპარსეთიდან შემოვიდა.

ორდალების შესახებ საბოლოოდ ორი ვერსია ასეთია:

1. შესაძლებელია ორდალეში იცოდნენ ძველ საქართველოში
2. გაერთიანების ხანაში, როგორც მართებულად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ორდალების არსებობის დამამტკიცებელი საბუთი არ არის, ხოლო ამ პერიოდის სამართლის განვითარების მაღალი დონე ორდალების გამოყენების საწინააღმდეგოდ უჩვენებს

შანთი–გამოიყენებოდა მხოლოდ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. მაგალითად მეფის ღალატი.

ფიცი–ედებოდა იმ მხარეს, რომლის უფლებრივი რეჟიმიც ირღვეოდა ან ვის წინააღმდეგაც ბრალდება იყო

ბრალის საკითხი კანონმდებელს მაღალ დონეზე აქვს გარკვეული.

მეგლში ფათერაკი აღნიშნავს შემთხვევითობას.

კანონმდებელი ყურადღებას აქცევს ისეთ დანაშაულს, რომელიც განზრახვითაა ჩადენილი.

კანონმდებელი მკვლელობის შემთხვევაში არჩევს:

1. მოწამვლით მკვლელობა (ყველაზე მძიმე ფორმა)
2. შუღლით მკვლელობა
3. „მტრობით სიკვდილი“
4. „ფათერაკით სიკვდილი“ (ყველაზე მსუბუქი ფორმა)

შემთხვევებს მნიშვნელობა ცნობილი იყო გაერთიანების ხანის საქართველოში. ექვთიმე თაყაიშვილი ხმარობს სიტყვას „იშობრივ“, ხოლო სულხან-საბა ორბელიანი იშობრივ-ფათერაკსავით „ვირსაშიანსა“ და „ამირანდარეჯანში“ ფათერაკს უბედურების მნიშვნელობა აქვს.

ქართულმა სამართალმა მე-10 საუკუნეში შეიმუშავა საკუთრების უფლების ამსახველი ტერმინები.

გაერთიანების ხანაში თამარ მეფემ მოსპო დამასახიჩრებელი სასჯელი. სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა მხოლოდ ავაზაკობის მძიმე ფორმის დროს.

ვახტანგის სამართალში მოწმე სათანადოდ არ არის დაფასებული.

წიგნში სამოქალაქო სამართალი მაღალი დონითაა ასახული. ვახტანგის სამართლის წიგნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების დადების დროს მხარეების ნება-სურვილს.

ვახტანგის სამართლის წიგნი ასახავს გაერთიანების პერიოდის მაღალი დონის სამართლის საწყისებს და განაგობს ამ პერიოდის მიერ სამართლის განვითარებისკენ აღებულ გეზს.

### 13. დანაშაულის სუბიექტი ძველ ქართულ სამართალში

ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი. ძველ ქართულ სამართალში ზუსტად არ ჩანს, თუ რა ასაკიდან დგებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. იოვანე მმარხველი თვლიდა, რომ პირის პასუხისმგებლობა 30 წლის ასაკიდან ეფარდებოდა. ექვთიმე მთაწმინდელის მოსაზრებით კი 30 წლის ასაკს მიღწეული პირი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის მსუბუქად ისჯებოდა. ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის მიხედვით პასუხისმგებლობის საკითხი 10 წლის ასაკიდან დგებოდა. 10 წლამდე ასაკის ბავშვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაიშვება, მათი მოქმედება გათანაბრებულია შემთხვევასთან ანუ „ფათერაკთან“. ამრიგად, დანაშაულის სუბიექტისთვის აუცილებელი იყო სათანადო ასაკი და ეს ასაკი შეადგენდა 10 წელს, 10 წლიდან წესდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დანაშაულის სუბიექტის მეორე მოთხოვნა ანუ დამახასიათებელი ნიშანი იყო შერაცხადობა. ძველი საეკლესიო კანონებიდან ჩანს, რომ შეურაცხადი პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა. შეურაცხადობა გამოიხატება ტერმინით: „უმეცრებაი გონებისა“ ანუ შეუგნებლობა, ე.ი. დანაშაულის ჩამდენის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არ ესმის თავისი მოქმედების საშიშროება და შედეგები. ასევე „ფრიადი უძღურებაი გონებისაი“ ანუ ფსიქიკური დაავადება, ანუ სულით ავადმყოფობა. ამრიგად, ძველი ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტებად არ ჩაითვლებოდნენ პირები, რომელთაც გონებრივი განუვითარებლობის ან სულით ავადმყოფობის გამო არ შეეძლოთ შეეფასებინათ თავიანთი ქმედება და ამ ქმედებით დამდგარი შედეგის საშიშროება – როგორც დანაშაული.

რაც შეეხება სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს, ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის მიხედვით სასჯელი დაწესებულზე მეტი თუ არა ნაკლები არ არის მთვრალი კაცისთვის. კანონმდებელი ამბობს, რატომ სვამს იმდენს, რომ დანაშაულამდე მივიდეს.

ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების კანონმდებლობა და იურიდიული პრაქტიკა სისხლის სამართლის სუბიექტებად მიიჩნებდა როგორც ფიზიკურ პირებს, ისე გაერთიანებებს, ქალაქებს, თემებს და კორპორაციებს ანუ იურიდიულ პირებს. ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის ზოგიერთ მუხლში სისხლის სამართლის კოლექტიური პასუხისმგებლობის მაჩვენებელი მაგალითები. ასევე ოჯახის წევრთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ოჯახის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში მოცემულია თანხის დაკისრება ოჯახისათვის. დანაშაულზე სისხლის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში ცოლ-შვილით უნდა გადაეცეს მეორე მხარეს.

ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში გათვალისწინებულია ქურდის პასუხისმგებლობა დაზარალებულის სასარგებლოდ, რომ ქურდმა უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება, ქურდთან ერთად პასუხისმგებლობის ბუბიექტად მისი ცოლ-შვილიც გამოდის.

მე-18 საუკუნეში ელეკლე მეორეს მიუღია სპეციალური დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობის გაძლიერებას გლეხის მკვლელობისთვის. ძველად დაწესებული იყო 12 თუმანი და დაადგინეს 24 თუმანი. ვინაიდან ამან არ იქონია გავლენა და მკვლელობა გრძელდებოდა, დაწესდა 30 თუმანი. თუ მკვლეელი დაიმალა პასუხს აგებდა მისი ნათესავი და სოფელი. აქედან ჩანს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად გამოდიან დამნაშავის ნათესავები და მთელი მისი სოფელიც.

#### **14. დანაშაულის სუბიექტური მხარე ქართულ სამართალში**

დანაშაულის სუბიექტური მხარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია. ბრალის ბრალეულობის განსაზღვრა აუცილებელია პასუხისმგებლობის დასაწესებლად. სისხლის სამართლის ისტორია ორ დიდ პერიოდს მოიცავს ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით. პირველი ის პერიოდია, როდესაც საზოგადოებას არ აინტერესებდა მოქმედების შინაგანი განწყობილება, დამნაშავის სულიერი დამოკიდებულება, ფსიქიკური განწყობა თვისი მოქმედებისა თუ

შედეგისდამი.საზოგადოებას აინტერესებდა მხოლოდ მოქმედების გარეგანი სახე,შედეგი,მიყენებული ნივთიერი ზარალი და მისი ანაზღაურება.ამ პერიოდს ეწოდება ობიექტური შერაცხვის პერიოდი.ობიექტური შერაცხვის პრინციპებიდან გამომდინარე ხშირად ადგილი ჰქონია ცხოველთა თუ საგანთა გასამართლება.

ობიექტური შერაცხვის პრინციპს ცვლის სუბიექტური შერაცხვის პრინციპი.აქ პასუხისმგებლობის საკითხი არ წყდება მარტო დამდგარი შედეგის მიხედვით,არამედ აუცილებელი ხდება დამნაშავეს პიროვნების,მისი შინაგანი,სულიერი მდგომარეობის გარკვევა დანაშაულის ჩადენისას თუ სასჯელის გამოტანისას.სასჯელის შესაფარდებლად აუცილებელი ხდება გაირკვეს შეგნებული ჰქონდა თუ არა დამნაშავეს თავისი ქმედების მნიშვნელობა ან მოსალოდნელი თუ დამდგარი მავნე შედეგი.

სუბიექტური შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარე პირველად შემოღებული იქნა განზრახვის ცნება,ე.ი. იმის გარკვევა,სურდა თუ არა ბოროტმოქმედს დამდგარი შედეგი და ითვალისწინებდა თუ არა მას.მას შემდეგ მუშავდება სხვა ფორმებიც,როგორცაა გაუფრთხილებლობა თუ თვითიმედოვნება.

რაც შეეხება ბრალს,ძველი ქართული სამართალი იცნობს მის ორივე ფორმას–განზრახვას და გაუფრთხილებლობას.განზრახვა ანუ თავისი ნებით ჩადენილი ქმედება და გაუფრთხილებლობა ანუ არა თავისი ნებით ჩადენილი ქმედება ანუ უნებლიე ანუ განზრახვის გარეშე მოქმედება.

ექვთიმე მთაწმინდელს მოჰყავს მკვლელობის კონკრეტული შემთხვევა,როცა მკვლეელი არის ავაზაკი,ბრძოლით მიდის უდანაშაულო ადამიანზე,რათ გაძარცვოს იგი.ნათლად ჩანს,რომ ეს განზრახი მოქმედებაა.ასევე ნებსითია მოწამვლით მკვლელობა.

ექვთიმეს მოჰყავს მაგალითი,როდესაც ქალი სიყვარულის წამალს შეასმევს და ის გარდაიცვლება.ეს შემთხვევა მკვლელობის განზრახვა არაა,თუმცა ასეთი დანაშაული უახლოვდება მას.

ექვთიმე მთაწმინდელს აღწერილი აქვს კიდევ დანაშაულის ისეთი სახე როდესაც მუცლის მოსაშლელად ორსულ ქალს აძლევს სვამს წამალს.ამ შემთხვევაში ორივე დამნაშავეა,რადგან მათ სურდათ ბავშვის მოკვლა.შეიძლება დაიღუპოს ასევე დედა,მიუხედავად იმისა რომ წამლის მიმცემს მისი სიკვდილი არ სურდა ეს ქმედება უახლოვდება განზრახ ჩადენილ მკვლელობას.

ექვთიმე განზრახვას უწოდებს ისეთ ქმედებას,როგორცაა მოუზომავად დარტყმა ჩხუბისას და ადამიანის სიკვდილს ისეთ ვითარებაში,როდესაც უნდა რომ რამე ავნოს მაგრამ სიკვდილს გამოიწვევს.

ამრიგად,ექვთიმე მთაწმინდელი ასახელებს სრულიად აშკარა,გამოკვეთილ განზრახვას და განზრახვასთან მიახლოებულ მოქმედებას.

საპირისპირო მოქმედებას ანუ გაუფრთხილებელ ბრალს ექვთიმე უწოდებს არაგანზრახ,გონების გარეშე,უნებლიე მოქმედებას.ქმედების ჩამდენი პასუხს არ აგებს მაშინ,როცა მას სურდა ხის ნაყოფი ჩამოეყარა,ჯოხს ესვრის,თუმცა კაცს მოხვდება და გარდაიცვლება.ბრალი გამოირიცხება მაშინაც,როცა მასწავლებელს მოსწავლე წვრთნისას შემოაკვდება.

უნებლიედ ჩადენილი ქმედება ასევე ფათერაკი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ისჯებოდა. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებიდან“ ჩანს, რომ თუ კაცმა ფათერაკით ანუ გაუფრთხილებლობით მოკლა გამგებელი იგი უნდა გააძევეთ, მამული ჩამოართვან და სისხლის ფასიც გადაიხადოს.

ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნი ერთმანეთისგან განასხვავებს განზრახ დანაშაულს და განზრახვის გარეშე დანაშაულს. ასევე განზრახვას და ფათერაკს. ფათერაკში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც კაცს კაცი შემოაკვდება ან დაჭრის გაუფრთხილებლობით და ამისთვის პასუხისმგებლობა არ ინიშნება. თუ ათ წლამდე პირი დანაშაულს ჩაიდენს მას ეს ფათერაკად ეთვლება და მისმა მშობლებმა ზარალი უნდა აანაზღაურონ. თუ პირუტყვი სხვის ნათესავებს თუ ყანას დააზიანებს, მაშინ პირუტყვის პატრონმა საფათერაკო წესით პასუხი უნდა აგოს.

პირი ასევე ისჯება დაუდევრობისთვის, რადგან მას უნდა გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი, მაგრამ არაფერი გააკეთა ამისათვის, რის გამოც პასუხს აგებს თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. აქაც გაუფრთხილებლობას აქვს ადგილი.

ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში ვხვდებით ნორმებს, სადაც საუბარია დანაშაულის მოტივზე ანუ რატომ ჩაიდინა პირმა ეს ქმედება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენის დროს სასამართლოს უნდა გამოერკვია ის სუბიექტური განწყობილება, რომელიც ჩადენილ მოქმედებაში გამოაშკარავდა. ქართული სამართალი იცნობდა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას – ბრალეულობის ორ ძირითად ფორმას – და სხვადასხვა იურიდიულ შედეგს უკავშირებს მათ. ეს ფაქტი კიმიმსმაჩვენებელია, რომ ძვენი ეროვნული სამართალი კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე დგას.

## 15. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

ძველ ქართულ სამართალში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრალთან – განზრახვასა და განუზრახველობასთან, ე.ი. დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღებოდა დანაშაულის ჩამდენის ნება და ამ ნების ხარისხის მიხედვით დამნაშავეს ან უმსუბუქდებოდა სასჯელი ან თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან. პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებული იყო ნებელობასა და განზრახვაზე, ხოლო რაკი განზრახვა და ნება ადამიანის გონიერების ნაყოფია, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ „ვისაც უმეცრებაი გონებისაი“ ან ფრიადი უძღურებაი გონებისაი“ აქვს ის უმსუბუქესად ისჯებოდა ან პასუხისმგებლობისგან შეიძლება განთავისუფლებულიყო.

ექვთიმე მთაწმინდელი არ იზიარებს იოვანე მმარხველის მოსაზრებას, რომ 30 წლამდე პირი დანაშაულისთვის საერთოდ არ ისჯებოდა, ხოლო ექვთიმე ამბობდა, რომ 30 წლამდე პირს, ვისაც მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი მსუბუქად ისჯებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქართულ სამართალში ალბათ 10 წლის ასაკიდან იყო დაწესებული, როგორც ეს



ვახტანგის სამართლის წიგნშია მოცემული ან 15–16 წლიდან, როცა დგებოდა სქესობრივი მომწიფებულობა ან უკიდურეს შემთხვევაში 21–22 წლის ასაკიდან, როდესაც პირი სამხედრო და სამოქალაქო საქმეებისთვის სრულასაკოვანი ხდებოდა.

დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ან პასუხისმგებლობისაგან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა თუ დანაშაული ჩადენილი იყო გამოუვალი მდგომარეობის ანუ იძულებულს გამო. ასეთ გარემოებაში იგულისხმება თუ დანაშაულის ჩამდენი მოქმედებდა თავისი უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფლის ბრძანების აღსასრულებლად და მათი ბრძანების აღსრულების შიშით ჩაიდინა დანაშაული ან ომიანობისა თუ თავდასხმის დროს იძულებული იყო თავი დაეცვა და თავდამსხმელი დაეჭრა. იმდროინდელი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია ასეთ მიზეზებსა და გარემოებებს უწოდებს „ჯეროვან მიზეზებს“, ზოგჯერ კი „საჭირო მიზეზს“.

ვახტანგ მე–6–ის სამართლის წიგნის მიხედვით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებებია:

1. ომის დროს მტრის მოკვლა;
2. მკვლელობა უნდა ჩადენილი იქნას გაუფრთხილებლობით (განუზრახველად);
3. მკვლელობა ჩადენილია თავდაცვის მიზნით (აუცილებელი მოგერიების ფარგლებში);
4. თუ ორი პირი ბატონ–  
ყმურურთიერთობაში არარის ერთმანეთთან და ერთი მეორეს თავს დაესხმება და მეორე თავდამსხმელის მოგერიებისა და თავის დაცვის მიზნით მოკლავს;
5. თუ ერთი კაცი მეორეს თავს დაესხმება და მეორე დაინახავს,  
რომ თავდამსხმელმა ხმალი ზეხელი მკოიკიდა, შეუძლია მოკლას თავდამსხმელი;
6. თუ ქმარი ცოლს სხვა კაცთან წაუსწრებს და მოკლავს;
7. თუ ქმარი ცოლს მოახლესთან წაუსწრებს;
8. ყმას შეუძლია მოკლას ბატონი, თუ ბატონი ყმის ოჯახის ღირსებას შელახავს;
9. ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატე ცოლი;
10. დასაშვებია ქურდის მოკვლა.

## 16. სასჯელის მიზნები და სახეები ძველ ქართულ სამართალში

აღნიშნული საკითხის გასარკვევად ჩვენ ორ ეტაპს უნდა შევხებით:

ა) როგორია სასჯელი უძველესი პერიოდიდან მონღოლთა შემოსევამდე

ბ) როგორია ეს ინსტიტუტი შემდგომ პერიოდში

პირველი პერიოდის გასარკვევად დიდად გვეხმარება ივ.ჯავახიშვილის ნაშრომები, ხოლო მეორე პერიოდის შესახებ ვსარგებლობთ რამდენიმე ქართველი ავტორის, მათ შორის ალ.ვაჩიშვილის გამოკვლევებით.

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გადმოქართულენული იოვანე მმარხველის ნომოკანონონში „კანონი შეცოდებულთანი“ მოცემულია ცნობები სასჯელის სახეებზე, მათ წარმოშობა–განვითარების შესახებ, ხოლო შემდგომ შეპირისპირებულია ქრისტიანული ეკლესიის მსოფლმხედველობასთან და სასჯელის წარმოშობა თუ არსი ახსნილია როგორც ღმერთის ნება. ღმერთს სურდს არა ადამიანის ტანჯვა და სიკვდილი, არამედ მისი გამოსწორება.

ივანე ჯავახიშვილი ასახელებს ოთხ მიზანს დანიშნულებისას, რომელიც არსებობდა მინდობითა შემოსევებამდე:

1) დამნაშავეს დასჯის დროს სასჯელის მიზანი იყო მისი ზნეობრივი გამოსწორება. სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგა ექვთიმე მთაწმინდელი. იგი სასჯელის დანიშნულებად თვლიდა წვრთნას. მამა ექვთიმე დასჯილ ბერებთან მიდიოდა და ნუგეშს სცემდა, სიტყვით და საქმით ეხმარებოდა მათ. თუ მას წინანდელი დანაშაულის მსგავსი აღარაფერი ემჩნეოდა, ნუგეშს სცემდა და ასაჩუქრებდა ყოფილ დამნაშავეს, რათა გულში მტრობა არ დარჩენოდა.

2) სასჯელის მეორე მიზანს როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალში წარმოადგენდა დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება. ამ სახის სასჯელები გამოიყენებოდა იმ ბოროტმოქმედთა მიმართ, რომელთა გამოსწორება არ ხერხდებოდა წვრთნით ანუ ჰუმანური აღზრდის მეთოდებით. შესაბამისად ეს სასჯელი გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში.

3) თუ დამნაშავეს დანაშაულისადმი მიდრეკილება აქვს, წვრთნამ და ფიზიკურმა სატანჯველმა შედეგია არ გამოიღო, მაშინ ასეთი ადამიანის მიმართ გამოიყენებოდა ექსორია და გამეგება. ასეთ სასჯელს მიზნად ჰქონდა საზოგადოებრივი მშვიდობის დამყარება, დამნაშავე პირთაგან საზოგადოების გაწმენდა. დავით აღმაშენებელმა ლიპარიტ ამირა ერთხელ შეიპყრო, შემდგომ შეინდო და ძველ უფლებებში აღადგინა, მეორეჯერ იმავე დანაშაულისთვის ორი წელი შეპყრობილი იყო და საბერძნეთში გააგზავნა ექსორიად, ქვეყნიდან იქნა მოკვეთილი. რაც შეეხება გამეგებას–ამ სასჯელს სახელმწიფოსა თუ დაწესებულებათა მშვიდობიანობაზე ზრუნვა და მავნე ელემენტებისაგან გათავისუფლება შეადგენდა.

4) სასჯელის მიზნების, დანიშნულების შესახებ შედარებით გლობალურად მსჯელობს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი ეფრემ მცირე. მისი აზრით განვითარებულ სახელმწიფოში მისი მიზანი და დანიშნულება უნდა იყოს კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა.

გ. ნადარეიშვილი მსჯელობს კერძო და საჯარო სასჯელების შესახებ. კერძო სასჯელი გულისხმობს, რომ დამნაშავემ უნდა დააკმაყოფილოს კერძო ინტერესების ხელყოფისათვის

დაზარალებული მხარე.საჯარო სასჯელი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული იძულებითი ღონისძიება დანაშაულის ჩადენისათვის.

ასევე განადარეიშვილი აღნიშნავდა რომ „სისხლი“ კანონით დაწესებული ან აღიარებული ქონებრივი სასჯელია,ხოლო საჯარო სახის სასჯელს მაშინ პატიჟი ეწოდებოდა.დანაშაული განიხილებოდა როგორც კერძო პირის უფლების დარღვევა და ამ დარღვევისთვის დაწესებული იყო ქონებრივი საზღაური.მაგალითად,ქურდმა ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება უნდა ზღოს,რაც კერძო სასჯელია და კიდევ დამატებით ნახევარ–ნახევარი სისხლი არის საჯარო სასჯელი.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მონღოლთა შემოსევებამდე ასეთი სასჯელებია:

1)სიკვდილით დასჯა,როგორცაა თავის მოკვეთა,ჩამოხრჩობა,შეეფარდებოდა მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულისთვის,მეფის პირადი შეურაწყოფისთვის,მეკობრეობისათვის.ამ სასჯელს იშვიათად იყენებდნენ და თამარის მეფობისას საერთოდ აღარ გამოიყენებოდა.

2)სხეულის დამაზიანებელი(დამასახიჩრებელი) სასჯელები და ასოთმოკვეთა,მათ შორის დასაჭურისება,თვალთა დაწვა ანუ დაბრმავება,ენის მოჭრა,ხელისა და ფეხის მოჭრა.

3)ექსორია და გამევება.ექსორიის სახეებია მუდმივი და დროებითი და ნიშნავს კონკრეტულ ადგილას გადასახლებას,ხოლო გამევებისას კონკრეტული ადგილი არ იყო მითითებული.

4)თავისუფლების აღკვეთა.საპყრობილის სამი სახე არსებობდა:დილეგი,საკანი და საპატიმრო.დილეგში ბორკილგაყრილი პატიმრები არიან მოთავსებულები,საკანი საპატიმროს ქვედასართულია,ბნელი ადგილია,ხოლო საპატიმრო არის ადგილი,სადაც დაკავებული პირიუჯაჭვოდ იმყოფება.

5)მტკივნეული სასჯელი ანუ გვემითი სასჯელები გამოიყენება ფიზიკური ტანჯვის მიყენების მიზნით.მტკივნეული სასაჯელები ხორცილედება ჯოხის ცემით,მათრახით და სხვა იარაღებით.

6)ქონების კონფისკაცია ანუ „მამულის დაჭირვა“ გამოიყენებოდა გამგებლის მოკვლისთვის.

7)მოქალაქეობრივი უფლების დროებითი ან სამუდამოდ ჩამორთმევა და გამაწბილებელი სასჯელები.ამაში იგულისხმება არმიაში მონაწილეობის აკრძალვა და ეს ფაქტობრივად ნიშნავს თავის თანამომძმეებთან თანასწორობის ჩამორთმევას.ასეთი სასჯელი მკვლელობისა და სამშობლოს ღალატისათვის იყო დაწესებული.

8)ქონებრივი საზღაური,დანაშაულის ჩადენისათვის,რომელსაც დამნაშავე უხდიდა დაზარალებულს,სასამართლოს,ფეოდალსა და სახელმწიფოს.ასეთი სასჯელის კარგი მაგალითია ე.წ. „შუიდეულის“ ისტორია ნაქურდალისთვის

9)დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები,რაც ძირითადად რელიგიური დანაშაულებისათვის ინიშნებოდა.ეკლესია დაკრულვას იყენებდა სქესობრივი და ზნეობრივი

დანაშაულისათვის, მკრეხელობისა და მკვლელობისათვის. საერო ხელისუფლება დაკრულვილს შერისხავდა, მამულს ჩამოართმევდა და აუკრძალავდა სამხედრო სამსახურს.

სხვა საეკლესიო სასჯელებიდან აღსანიშნავია: უზიარებლობა, რაც გამოიყენებოდა მკვლელობისთვის, მრუმობისათვის, სისხლის აღრევისათვის, სიძვისათვის. მონასტრიდან მოკვეთა ანუ გაგდება გამოიყენებოდა მონასტრის წესების სერიოზული დარღვევისთვის. საეკლესიო წყაროებში დასახელებულია საეკლესიო სასჯელთა ისეთი სახეებიც, როგორცაა: სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა. ხშირად გამოიყენებოდა ცემდა და წამება. საეკლესიო სასჯელთა დანიშნულება ძირითადად საეკლესიო წესების დაცვა იყო.

მონღოლთა შემოსევის შემდგომ პერიოდიდან სისხლის სამართლის დარგში სახელმწიფო საჯარო საწყისი სუსტდება, რადგან თვით სახელმწიფო უძლური ხდება ებრძოლოს დანაშაულს და მის მის ადგილს იჭერს მხარეთა შორის მორიგება, თვითგასწორება თუ მოლაპარაკება, სასჯელის ძირითად სახედ კი იქცევა დანაშაულის გამოსასყიდი ანუ ქონებრივი ანაზღაურება.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგ მე-6-ის სამართლის რამდენიმე მუხლი პირდაპირ მიუთითებს სასჯელის მიზანზე, რომ მან უნდა დაამინოს დანაშაულის ჩამდენი და გარეშე პირებიც.

ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში მრავალი მუხლი ეძღვნება სასჯელის, როგორც სამაგიეროს მიზლის საშუალებას. მასში მოცემულია, რომ დამნაშავეს ეკუთვნის დასჯა მის მიერ ჩადენილი ქმედების სამაგიეროდ.

სამაგიეროს მიზლის ერთ-ერთი სახეა ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში მოცემული დაბეზღებისთვის სასჯელი, რომლის ჩადენაშიც აბეზღებდნენ პირს. პროფ. ალ. ვაჩიშვილის აზრით, აქ ტალიონის პრინციპთან გვაქვს საქმე, რადგან ზუსტად იგივე ეფარდება დამნაშავეს, როცა მას სურდა ევნო მეორე პირისათვის. პროფესორი ვაჩიშვილის აზრით, ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის მუხლებში აშკარად სიმბოლური ტალიონის პრინციპია მოცემული. სიმბოლური ტალიონი კი მატერიალური ტალიონის ანარეკლია, იგი ზუსტად არ შეესაბამება ჩადენილ დანაშაულს და წარმოადგენს მხოლოდ სიმბოლურად რეაგირებას დანაშაულის ჩადენისთვის. სიმბოლური ტალიონით სახელმწიფო აფრთხილებს საზოგადოებას თავი შეიკავონ ასეთი ქმედებისგან.

სასჯელის სახეები ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში:

1) სიკვდილით დასჯა, რაც ვახტანგის სამართლის წიგნში როგორც სასჯელი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა შეგვიძლია ივარაუდოთ რომ იგი გამოიყენებოდა მეფის, კათალიკოსის ან უფლისწულის მოკვლისას, ასევე ძმისა და დის მკვლელობისას, ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის ღალატისას.

2) დამასახიჩრებელი სასჯელებიდან ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში ვხვდებით ნასაღს (ასოთმოკვეთა), რომელიც გამოიყენება ცრუმორწმუნეობისას, ტყვის გაყიდვისას, ქვეყნისა და რჯულის ღალატისას, მისნობისა და კუდიანობისას, ბატონის გაჯავრებისა თუ ხელით

ცემისას. ცნობილია ერეკლე მეორემ შეთქმულებისათვის ალექსანდრე ამილახვარი ცხვირის მოჭრითა და ფეხის ძარღვის გადაჭრით დასაჯა.

3) ტკივილს მიმყენებელი სასჯელები (ცემა) ცოტაა და მკრთალადაა მოცემული ვახტანგის სამართლის წიგნში. მაგალითად, თუ ცოლი ქმარს ცემს ან დაჭრის დიდი გვემა და ტანჯვა უნდა მიუსაჯოს კათალიკოსმა.

4) თავისუფლების აღკვეთაა დაწესებული კაცისთვის, რომელიც ქალს ტანჯავს და ცუდად ეპყრობა.

5) გამაწილებელ სასჯელად ითვლება პიროვნების დამცირება და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. ვახტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს მაჭანკლის დასჯას გამაწილებელი სასჯელით – ყელზე საბლის მოხმითა და ტიტველს მთელ სოფელში შემოტარებით.

6) ქონებრივ სასჯელში იგულისხმება ჯარიმა, რომელსაც სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდის დამნაშავე და კონფისკაცია.

7) საეკლესიო ხასიათის სასჯელები – დაკრულვა, შეჩვენება. შეჩვენება ძალზე მძიმე სასჯელი იყო. ვისაც ეს სასჯელი შეეფარდებოდა, მას ზიარების ქორწინებისა და გვირგვინთა კურთხევის უფლება აქ ჰქონდათ, ხოლო სიკვდილის შემდეგ ქრისტიანული წესით არც ანდერძი აეგებოდა და არც დასაფლავება არ შეიძლებოდა. შეჩვენებას მოჰყვებოდა შერისხვა ანუ საერო საერო ხასიათის სასჯელი. შერისხულს მამული უნდა ჩამორთმეოდა და ლაშქრობაში მონაწილეობის უფლებაც ეკრძალებოდა, იგი სამშობლოდან უნდა გაედევნათ. ამაზე მძიმე სასჯელი ეკლესიას არ ჰქონდა.

## 17. დანაშაულის სახეები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის თანახმად, გასახვავებდნენ სახელმწიფო დანაშაულის 3 სახეს. ესენი იყო: 1. სამშობლოს ღალატი; 2. სამხედრო საიდუმლოების გაცემას; 3. ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

სამშობლოს ღალატი გამოიხატებოდა მტრის მხარეზე გადასვლაში. ამისათვის კანონმდებელი აწესებდა სიმბოლურ ტალიონს – ფეხის მოკვეთას. შესაძებელი იყოს მეფის გადაწყვეტილებისამებრ ფეხის მოკვეთა შეეცვალათ ქონების კონფისკაციით. თუმცა, ორივე სახის სასჯელი ერთდროულად არ გამოიყენებოდა.

სამხედრო საიდუმლოების გაცემა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და მისი გადასახადით (ფულით) გამოსყიდვა არ დაიშვებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ფართოდ იყო წარმოდგენილი პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცემა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მკვლელობა ფულადი ანაზღაურებით ისჯებოდა, მაგრამ ფულადი ანაზღაურება არ გამოიყენებოდა ზოგიერთი სახის მკვლელობისათვის, მაგალითად, მეფის, დედამამიშვილის და

სხვათა მკვლელობისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იცნობს მკვლელობის მაკვალიფიცირებელ (დამამძიმებელ) გარემოებებს. ასე, მაგალითად, კვალიფიციურია მკვლელობა, თუ იგი ჩადენილია ქვეშევრდომის მიერ თავისი მებატონის ან უფროსის მოკვლის მიზნით. მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნეოდა მოწამვლით მკვლელობა. ცოლის მიერ ქმრის მკვლელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვლებოდა, თუ ქმარი უბრალო იყო, ე. ი. ცოლს არ ჰქონდა რაიმე გამამართლებელი საბუთი ქმრის მოკვლისათვის. მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვლებოდა ასევე ძმის მკვლელობა. დედმამიშვილის მკვლელობა იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რომ განაჩენი მეფეს ან კათალიკოსს უნდა გამოეტანა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნეოდა მოდავეთა თუ მოჩხუბართა გაშველებისას მკვლელობა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებებად ითვლებოდა აგრეთვე მკვლელობა დაყაჩაღებისას და მკვლელობა თანამდებობის პირისა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი პასუხისმგებლობას აწესებს ცეცხლის წაკიდებით მკვლელობისთვის, სასაფლაოზე თავდასხმისათვის, როდესაც სასაფლაოზე მყოფი მკვიდრი პატრონი მოკვდა, საკუთარ სახლში თავდასხმისას მკვლელობისთვის, იმ გლეხის მკვლელობისთვის, რომელიც ბატონთან ცხოვრობდა, დაზარალებულის მამულში ჩადენილი მკვლელობისათვის, შუამავლის მკვლელობისათვის, გინების ნიადაგზე მკვლელობისათვის, ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისათვის, ვალის გადაუხდელობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობისათვის, ბატონის მიერ ყმის მკვლელობისათვის, ფათერაკით (გაუფრთხილებლობით) ჩადენილი მკვლელობისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში დიდი ყურადღება ექცეოდა სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებას. ზოგიერთ მუხლი ეხებოდა ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. დიდი ადგილი ეჭირა ეკონომიკური დანაშაულების მიმოხილვას.

აგრეთვე დანაშაულად ითვლებოდა: თვითგასწორება, ვაზის აკაფვა, ნერგის მოჭრა, ყანის ვენახის, ღობის, ბჯის ან თივის ცეცხლის განზრახ წაკიდება, უკანონოდ გადასახადის შეწერა, საფლავისთვის მიწის უკანონოდ მიტაცება, გინება, დასმენა, მუქარა, ცრუმოწმება, სიგელის წართმევა და დახევა, ჯადოქრობა, მოსამართლის უპატივცემულობა.

## **18. მეფე, დედოფალი და ბატონიშვილები, როგორც მოსამართლეები გვიანფეოდალურ კახეთში**

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლი და კახეთი ერთიანი სამეფოა, ამიტომ სასამართლო ორგანიზაცია აღმოსავლეთ საქართველოში საერთო ნიშნებით ხასიათდება.

მეფე როგორც მოსამართლე. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, გვიანფეოდალურ საქართველოშიც უმაღლესი მართლმსაჯულების განმახორციელებელია. მეფე მასთან შეტანილ საჩივარს ან თვითონ არჩევდა, ან გადაუგზავნიდა სასამართლოს, ან კიდევ სპეციალურად ავალეზდა ვინმეს მის

განხილვას.მეგებში არსად არ არის მითითებული განაჩენის გასაჩივრების წესი.ამ შემთხვევაშიც მეფეს განისაზღვრელი უფლება ჰქონდა.ინსტანციები როგორც ასეთი არ არსებობდა-სამქეს საბოლოოდ არჩევდა სასამართლო,მაგრამ მეფესთან შეიძლებოდა განაჩენის გასაჩივრება.

ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის მიხედვით,მეფეს უნდა განეხილა საქმე სიგელის წართმევის შესახებ.ეს ერთადერთი საქმე იყო,რომელიც აუცილებლად მეფეს უნდა გადაეწყვიტა.ზოგიერთი საქმე როგორც მეფის,ისე კათალიკოსის იურისდიქციას ეკუთვნოდა,ესენია:მეფისადმი ორგულობა,მეფის სალაროს გატეხვა,საყდრის გატეხვა,ცოლის ტანჯვა ქმრის მიერ და სხვა.ამგვარი საქმეები,როგორც ჩანს,მეფის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო და ალბათ,თვითონვე არჩევდა.მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა ივ.სურგულაძის აზრით ომის დროს მეფის მოლაღატის საქმის გარჩევა.ამრიგად,ყველდა „დიდ საქმე“ იხილავდა მეფე და მისი დარბაზი,ხოლო მდივანბედი მეფის უკითხავად ასეთ საკითხებს ვერ გაარჩევდა.

მეფე კვირაში ორჯერ იჯდა სამდივნო სახლში ანუ სასამართლოში.ვახტანგ მე-6 ოთხშაბათს და პარასკევს იმყოფებოდა სამდივნო სახლში,თუმცა მეფეს ხშირად უწევდა საქმეების განხილვა სამდივნო სახლის გარეთ.ასევე,მ. კეკელიას აზრით,მეფის მიერ მართლმსაჯულების განხორციელება მიზნად ისახავდა მეფის ავტორიტეტის განმტკიცებას და საუკეთესო საშუალება იყო ფეოდალთა ხელისუფლების შესაზღვრდავად.მეფის განაჩენს ვერც ერთი ფეოდალი ვერ შეეწინააღმდეგებოდა.მეფის გადაწყვეტილება საბოლოო იყო და არავის გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა.მეფეს კი უფლება ჰქონდა,გადაესინჯა ნებისმიერი სასამართლო განაჩენი ან შეეჩერებინა მისი აღსრულება.

დედოფალი როგორც მოსამართლე. დედოფალი საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ახორციელებს.მხედველობაშია ერკლე მეორის მეუღლე დარეჯანი,რომელიც მეფის შემდეგ რანგით მეორე მოსამართლედ ითვლებოდა.

დედოფალი მოსამართლეობდა როგორც პირადად,ისე სხვა პირებთან ერთად.მდივანბეგთა სასამართლოც არცთუ ისე იშვიათად განიხილავდა საქმეებს დედოფლის თავმჯდომარეობით.მხოლოდ მეფეს ჰქონდა უფლება დაევალებინა დედოფლისათვის სასამართლო საქმის განხილვა.დედოფალი საქმეებს არჩევდა თავისი ინიციატივით და ასევე მას შეეძლო საქმის წარმოება სხვისთვის გადაეცა.დედოფალს ექვემდებარებოდა მის საფეოდალო-საგამგებლოში,სახასლოში წამოჭრილი საქმეები,თუმცა ასეთ შემთხვევაში მისი სახლთუხუცესები მოსამართლეობდნენ.დედოფალს ორი სახლთუხუცესი ჰყავდა,ერთი-ქართლში,მეორე-კახეთში.დედოფლის სასამართლო საქმიანობა მთელ სამეფოსი ვრცელდებოდა,თუმცა მას არ შეეძლო სისხლის სამართლის საქმეების განხილვა.მის იურისდიქციაში შედიოდა ყველა სამოქააქო დავა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე.

ბატონიშვილების სასამართლო საქმიანობა. ბატონიშვილთა სასამართლო აქტიურობა განსაკუთრებულია მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.ერეკლე მეორის სრულწლოვანი შვილები და შემდეგ შვილიშვილებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.ბატონიშვილები ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას მეფის,დედოფლის,იშვიათად კათალიკოსის დავალებით,ძირითადად კი საკუთარი ინიციატივით,როდესაც მომჩივარი პირადად მიმართავდა მათ.

ბატონიშვილებს შეიძლება გაერჩიათ სასულიერო ხასიათის ან სასულიერო წოდების პირებს შორის დავები, თუმცა ამისთვის მეფის ნებართვა იყო საჭირო. ასევე, შეეძლოთ კათალიკოსის დავალებით დიკასტერიასთან ერთად განეხილათ საქმეები. ბატონიშვილები საქმეებს არჩევდნენ როგორც დამოუკიდებლად, ისე დივანბეგთან ერთად. ასევე, შეეძლოთ დაევალებინათ საქმის განხივა სხვისთვის. ისინი განიხილავდნენ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საკითხებს.

## 19. მდივანბეგთა სასამართლო

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაწესებულებას „დივანს“ უწოდებდნენ, რაც სპარსული სიტყვაა და სახელმწიფო კრებას, კანცელარიას, დაწესებულებას ნიშნავს. აქედამ გამომდინარე სასამართლო დაწესებულებას „სამდივნო სახლს“ უწოდებდნენ. გვიანფეოდალურ საქართველოში სამეფო-სამთავროებში სასამართლო ორგანიზაციის ძირითადი, სპეციალიზებული დაწესებულება იყო ცენტრალური ხელისუფლების მდივანბეგების სასამართლო. მდივანბეგობის სახელო საქართველოში მე-17 საუკუნეში შემოვიდა.

ვახტანგ მე-6-ის კანონების მიხედვით, მდივანბეგი ეწოდებოდა სასამართლოს უფროსს, სასამართლოს შემადგენლობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული. სავარაუდოდ სამ კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. მდივანბეგის სასამართლოში შედის: 1. მდივანბეგი-უფროსი მოსამართლე, 2. მსაჯულები ანუ მოსამართლეები, 3. მდივანი, რომლის ფუნქციაც იყო ორივე მხარის ჩვენების ჩაწერა, აგრეთვე სამართლის წიგნის იმ მუხლის წაკითხვა, რომელიც განსახილველ საქმეს ეხებოდა, 4. იასაული, რომლებიც იყოფოდნენ ორ ჯგუფად: ა) „მართლის მთქმელი უქრთამო იასაულნი“-მათ ევალებოდათ საგამოძიებო ფუნქციის შესრულება; ბ) „განწყრომისა და დაჭერის იასაულნი“-მათ ევალებოდათ დამნაშავეს შეპყრობა და განაჩენის სისრულეში მოყვანა.

მდივანბეგი მხოლოდ მეფის, ე.ი. კარის მოხელეა. მდივანბეგი არ ჰყავდა არც ერთ საფეოდალოს. მდივანბეგს ხელი მიუწვდებოდა სისხლის და სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე. რთულ საქმეებს მხოლოდ მეფე, დარბაზი ან მდივანბეგი განიხილავდა. „დასტურლამალის“ მიხედვით, ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა. მაგალითად: მკვლელობა, ღალატი, სალაროსა და ეკლესიის გაძარცვა. ამას მდივანბეგის გარდა მეფე და დარბაზი განიხილავდა.

მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნებოდა „დიდი საქმე“. ეს შეიძლება ყოფილიყო როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმე. მკვლელობის გარდა, კარზე უნდა გარჩეულიყო კიდევ სხვა დავებიც, მაგრამ ასეთი საქმეების უმრავლესობა მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა, ხოლო ნაწილი ამ „დიდი საქმეებისა“, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებიდან-მდივანბეგს. ყველა ის საქმე, რომელიც არ ითვლებოდა „დიდი საქმედ“, როგორც წესი ადგილობრივ ფეოდალებს და მათ მოხელეებს ექვემდებარებოდა. მდივანბეგს ასევე ექვემდებარებოდა ის საქმეებიც, რომელთა მონაწილე მხარეები პირადად მას მიმართავდნენ.



## 20. სასამართლო მტკიცებულებები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

საპროცესო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო მტკიცებულებებს. ქართულ მტკიცებულებით სამართალში სასამართლო მტკიცებულებას ზოგადად საბუთი ეწოდებოდა. ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებული დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა ექვსი მტკიცებულებისაგან შედგება: ფიცი, შანთი, მდუღარე, ხმალი, მოწმე, ცოდვის მოკიდება. აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვან პროგრესს ამჟღავნებს სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში. ორდალების გამოყენება საკმაოდ იზღუდება, აღმოსავლეთ საქართველოში კი ფაქტიურად წყდება.

ახლა განვიხილოთ ცალკეული მტკიცებულებანი:

ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება თითქმის ყველა ხალხის სამართალწარმოებისთვისაა ცნობილი უძველესი დროიდან და გამონაკლისი არც საქართველოა. ვახტანგის სამართლის წიგნი მას პირველხარისხოვან მტკიცებულებად აღიარებს, თუმცა ამავე სამართლის წიგნში კანონმდებელი მეფე მოუწოდებს მოსამართლეებს, მოერიდონ ფიცით საქმის გადაწყვეტას. ფიცს მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ როცა სხვა მტკიცებულება არ იყო ან საეჭვოდ მიაჩნდათ.

„ფიცის დადება“ განსაზღვრული რიტუალის დაცვით უნდა ჩატარებულიყო. სისხლის სამართალში ფიცი ეკისრებოდა მოპასუხეს, ხოლო სამოქალაქოში – მეპატრონეს. ფიცის სიტყვებს, რომელიც დამფიცებელს უნდა წარმოეთქვა საქმის არსიდან გამომდინარე სასამართლო განსაზღვრავდა. ფიცი იდებოდა ეკლესიაში ან ადგილზევე. ხალხის რწმენით ტყუილად დამფიცებელს და მის ახლობელს ღვთის საშინელი რისხვა დაატდებოდათ თავს. ამიტომ კანონმდებელი განსაზღვრავდა იმ ადამიანთა წრეს, რომელთაც არ შეიძლება ფიცი დაეკისროს, მათ მიერ ფიცის მნიშვნელობის გაცნობიერების შეუძლებლობის გამო ან იმის გამო, რომ ფიცის არ სწამთ. ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის მიხედვით ფიცი არ შეიძლება დაეკისროს ჭკუასუსტს, უსაკოს და ფიცის ურწმუნოს. ამასთან, სამართლის წიგნი გამორიცხავს ქალის ფიცსაც. მის ნაცვლად მოსამართლეს ახლობელი მამაკაცი უნდა დაესახელებინა, რომელიც დაიფიცებდა ქალის ნაცვლად.

პროცესში მონაწილე მხარე იშვიათად იფიცებდა მარტო. უმრავლეს შემთხვევაში მასთან ერთად უნდა დაეფიცა თანამოფიცარს. იგი ძირითადად მოფიცრის კეთილსინდისიერებაზე იფიცებს, გარწმუნებს, რომ მისი ფიცი სარწმუნოა. თანამოფიცარი ორგვარია. ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნი განასხვავებს ერთმანეთისგან „შეგდებულ“ და „შეუგდებულ“ თანამოფიცარს. ეს იგივეა რაც ბექა – აღბუღას სამართლის წიგნში გათვალისწინებული „დასახელებული“ და „დაუსახელებელი“ თანამოფიცარი. შეგდებული და დასახელებული თანამოფიცარი არის ის, რომელსაც ასახელებს მომჩივანი – სავალდებულოდ ხდის მას ბრალდებულისათვის, ხოლო შეუგდებელი და დაუსახელებელი ისაა, რომელსაც ირჩევს

ბრალდებული(მოპასუხე).თუ შეგდებული თანამოფიცრები ერთობლივად განუცხადებდნენ მოპასუხეს,ვერ დავიფიცებთო,მოპასუხე საქმეს აგებდა.

სოციალურად თანამოფიცარი შესაძლოა ყოფილიყო მოფიცრის ახლობელი,მისდამი დაქვემდებარებული პირი.მაღალი სოციალური მდგომარეობის პირის,ვთქვათ,თავადის თანამოფიცარი შესაძლოა ყოფილიყვნენ მის გამგეობაში მყოფი პირები.თანაც თუ სადავო მამული დიდი არ იყო,ამ საპატიო კაცს არც შეაწუხებდნენ და მის ნაცვლად აზნაური,მსახური ან გლეხი დაიფიცებდა.წოდებრიობის პრინციპი ფიცის დანიშვნასთან დაკავშირებით,მკვლელობის საქმეზე იმით გამოიხატება,რომ უფრო დაბალი წოდების პირს არ შეეძლო ფიცით ემართლებინა თავი.თუ იგი უფრო მაღალი წოდების წარმომადგენლის მკვლელობაში იყო ბრალდებული.ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით თუ დიდებული კაცის სისხლს მასზე უმცროსს ცილით სწამებდნენ,ბრალდებულის ორდალით უნდა იმართლოს თავი.

ზოგ შემთხვევაში სავალდებულო იყო,რომ თანამოფიცრად გარეშე პირი ყოფილიყო დასახელებული.იგი უნდა ყოფილიყო დამფიცებლის საკადრისი,ტოლი,მისი არც მტერი და არც მოყვარე(დაინტერესებული პირი),არც ერთი მხარის ბატონის ყმა,მისივე ხეობის მცხოვრები.ასევე,თანამოფიცართა რიცხვი დამოკიდებული იყო სადავო ქონების ღირებულებაზე.ვახტანგის სამართლის წიგნით,2 დიდებული თავადის ფიცი იურიდიული მნიშვნელობით გათანაბრებული 20 შუა თავადისა და 60 უმცროსი თავადის ფიცთან.კანონმდებელი მეფე მიმართავს მოსამართლეს,დიდი სასქმეც რომ ყოფილიყო ბევრ მოფიცარს ნუ დაასახელებდა.ეს ყველაფერი კი მეტყველებს ქალაქში თანამოფიცრის ინსტიტუტის კრიზისზე.ნელ–ნელა ყალიბოდა სასამართლო მტკიცებულებათა უფრო მაღალგანვითარებული სისტემა,რომლის მიხვეითაც ფიცი და თანამოფიცარი თნდათან კარგავდა პირველხარისხოვანი მტკიცებულების მნიშვნელობას.

მოწმის ჩვენება მე–9–მე–14 საუკუნეებში განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა,თუმცა შემდგომ საუკუნეებში მისი მნიშვნელობა როგორც სასამართლო მტკიცებულება საკმაოდ დაკნინებულა.ვახტანგ მე–6–ის სამართლის წიგნის მე–13 მუხლი მოწმის ჩვენებას ეხება და უკიდურესად ამცირებს მტკიცებულების ამ სახის როლს და მნიშვნელობას ქართულ სინამდვილეში.თუმცა კანონმდებელი სხვა მუხლებში არაერთხელ იხსენიებს მოწმის ჩვენებას,როგორც მტკიცებულებას და ამ მუხლების მიხედვით ეს სასამართლო მტკიცებულება არ ჩანს ისე მნიშვნელოვნად,როგორც მე–13 მუხლის მიხედვითაა.მე–3 მუხლის მიხედვით მოსამართლე უნდა იყოს მოწმის მამებარი და მოწმის მეშვეობით უნდა ეცადოს სამართლის დადგენას,სასურველი ფიცის გარეშე.

ამგვარად,შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა ვახტანგის სამართლის წიგნის მე–13 მუხლსა და სხვა მუხლებს შორის,რომლებიც მოწმის ჩვენებას შეეხება.ეს არ არის გასაკვირი,რადგან ვახტანგის სამართლის წიგნი კლასიკურ კოდექსს არ მიეკუთვნება,იგი კაზუსტური ხასიათისაა,რის გამოც თითოეული კაზუსის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება იმ წესით,რაც მხოლოდ იმ კაზუსისთვისაა დამახასიათებელი.

ვახტანგ მე–6–ის სამართლის წიგნის მიხედვით მოწმე უნდა იყოს ნეიტრალური პირი,მისი ჩვენება უფრო ობიექტურად წყვეტს საქმეს.ასევე ღვთისმომშიში,ჭკვიანი,სანდო,მართალი კაცის სახელი უნდა ჰქონდეს.ასეთი მოწმე ორიც რომ იყოს,მოსამართლემ მათ ჩვენებას უნდა დაუჯეროს,ისე რომ არც კი უნდა

დააფიცოს. მაგრამ თუ მოწმე ასეთი თვისების მატარებელი არ არის, მაშინ საჭირო ხდება ათი, ოცი და ზოგჯერ მთელი სოფლის ერთპირი მოწმობა. ერთი მოწმის ჩვენებას მოსამართლე არ დასჯერდებოდა, რაც არ უნდა ღირსეული ყოფილიყო იგი. ძველი ქართული სამართალი კრძალავს ქალის მოწმობას, ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნშიც, თუმცა მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე ვხვდებით ქალ მოწმეს, რაც ქალისადმი სასამართლოს დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

მოწმის დაკითხვა ძირითადად სასამართლო პროცესზე ხდებოდა. სასამართლოს შეეძლო ვადა განესაზღვრა მხარეებისათვის მოწმის მოსამძებნად და სასამართლოში მისაყვანად. თუ ვერ შეძლებდნენ, მაშინ სასამართლო ფიცს მიმართავდა. თუმცა სასამართლოს შეიძლება მხედველობაში მიეღო მოწმეთა წერილობითი ჩვენებაც.

მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ მთხრობელის ინსტიტუტი. იგი არის „ბოროტმოქმედების დამსწრე, ბრალის მდებელი მოწმე“ „მთხრობელი“ ის პიროვნებაა, რომელსაც უშუალოდ ნანახი აქვს რაღაც ფაქტი, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ პიროვნების კავშირს მომხდარ დანაშაულთან.

მთხრობელი, როგორც ფაქტის თვითმხილველი, ახლოს დგას თვითმხილველ მოწმესთან, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მთხრობელი მეტ აქტივობას იჩენს დამნაშავეს მხილებაში. ასევე, თვითმხილველი მოწმე გასამრჯელოს არ იღებს, მთხრობელი კი დაზარალებულისათვის დამნაშავეზე ცნობის მიწოდებისათვის იღებს ე.წ. „სამთხოლოს“ საზღაურის სახით. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, საჭიროებისას მთხრობელი პირზე უნდა დაადგეს მის მიერ დანაშაულში ბრალდებულ პირს სასამართლო პროცესზე. მისი ფუნქცია ისაა, რომ დაამტკიცოს ბრალდებულის დამნაშავეობა, „გატეხოს“ იგი. მთხრობელს, როგორც დამნაშავეს დამსმენს, მტრული ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს ბრალდებულთან და ამას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის განუცხადებლობა დანაშაულად ითვლება. მისი ჩამდენი ისევე აგებს პასუხს, როგორც დამნაშავე, ხოლო სხვა დანაშაულის განუცხადებლობა არ უნდა ითვლებოდეს დანაშაულად.

ტყუილად მთხრობელისთვის პირი ისეთივე სასჯელით უნდა დაისაჯოს, როგორადაც დაისჯებოდა მის მიერ ბრალდებული პიროვნება, თუ მთხრობელი დაუმტკიცებდა მას დანაშაულის ჩადენას.

ცოდვის მოკიდება, როგორც ვახტანგის სამართლის წიგნიდან ირკვევა მცირემნიშვნელოვან საქმეზე გამოიყენება. კერძოდ, ერთი მარჩილის (სამი აბაზი) ღირებულების საქმეზე. ცოდვის მოკიდება გარკვეული რიტუალის შესრულებასთანაა დაკავშირებული. შეწამებულმა (ბრალდებულმა) შემწამებელი (ბრალმდებელი) ზურგზე უნდა მოიკიდოს და წარმოთქვას ფიცის განმსაზღვრელი ფორმულა, რომ მეორედ მოსვლისას ბრალდებული ბრალმდებლის ცოდვებისთვის განიკითხებოდა თუ იგი ამ დანაშაულის გამკეთებელია. თუ შეძლებს ამის გაკეთებას, ბრალდებული თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, თუ არადა, პასუხს აგებდა.

აღიარებას, როგორც მტკიცებულებას არც ერთი მოქმედი სამართლის ძეგლი საქართველოში არ იცნობს, თუმცა პრაქტიკაში მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღიარებით შეწამებული დანაშაულს ადასტურებდა, ხოლო მოპასუხე-სარჩელს, ე.ი. აღიარება ერთნაირად გამოიყენებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე. აღიარება დანაშაულის შემამსუბუქებელ დანაშაულად ითვლებოდა. მას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოსთვის განაჩენის გამოსატანად.

პიროვნების ბრალეულობა სრულიად შესაძლებელია ნივთიერი საბუთებითაც დამტკიცებულიყო. მოპარული საქონელი თუ ნივთები ეჭვმიტანილის სახლში, ნაქურდალის კვალი და სხვა სრულიად შესაძლებელია სასამართლოს გაეთვალისწინებინა, როგორც მტკიცებულება, რასაც მნიშვნელობა ენიჭებოდა განაჩენის გამოსატანისას.

მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში საკმაოდ მოგვეპოვება დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც სასამართლო სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირებს ავალებდა, შეესწავლათ ესა თუ ის საკითხი და წარედგინათ წერილობითი დასკვნა. ასეთი პირები ექსპერტებად წარმოგვიდგებიან, ხოლო მათ მიერ შედგენილი დოკუმენტი-ექსპერტიზის დასკვნად, რომელიც შესაძლოა განაჩენის დასაბუთებისთვის გამოყენებულიყო.

ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურების ყველაზე უფრო ძლიერი გარანტი არის სათანადოდ შედგენილი წერილობითი დოკუმენტი ანუ „წიგნი“. მაგალითად ბატონისგან გათავისუფლებულ ყმას, თავისი ყოფილი ბატონი აძლევდა წიგნს, ანუ წერილობით დოკუმენტს, მოწმეების მიერ ხელმოწერილს, რაც ადასტურებდა ყმის თავისუფლებას. ცხადია, წერილობითი დოკუმენტის შედგენა გამორიცხავს შემდგომში ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას რომელიმე მხარის მიერ. მე-18 საუკუნეში წერილობითი დოკუმენტი ერთ-ერთ პირველხარისხოვან წერილობით დოკუმენტად გვევლინება. თუ დოკუმენტი არ არსებობს ან არასრულყოფილია სასამართლო მხოლოდ ამ შემთხვევაში მიმართავს სხვა სასამართლო მტკიცებულებას.

ორდალი ნიშნავს „ღვთის მსჯავრს“. ორდალთა ინსტიტუტი, როგორც სასამართლო მტკიცებულება, დაფუძნებულია წარმოდგენაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანებს შორის წარმოშობილ დავების გადასაწყვეტად შესაძლებელია ღვთაების მონაწილეობა. ორდალი იყო მიმართვა ღმერთისადმი, რომ ადამიანის გონისთვის რთული სამართლებრივი საკითხი მას გადაეწყვიტა. ადამიანებს ამომრავებდათ ურყევი რწმენა იმისა, რომ მდულარეთი, ცეცხლით, შანთით გამოცდისას მართალ კაცს ხელი არ დაეწვებოდა, ღმერთი ამას არ დაუშვებდა, ხოლო თუ დაეწვებოდა ის ნამდვილი დამნაშავე იქნებოდა. მე-18 საუკუნიდან კი ორდალთა გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში იზღუდება და ნელ-ნელა წყდება, თუმცა ცხადია, კანონმდებლობა ერთბაშად ვერ შეაქცევს ზურგს ჩვეულებითი სამართლით დადგენილ წესებს.

## 21. ქორწინებისათვის აუცილებელი პირობები ძველ ქართულ სამართალში

ქორწინება ძველ ქართულ სამართალში იყო ქალისა და მამაკაცის კავშირი შთამომავლობისა და ოჯახის ერთად შექმნის მიზნით. ქორწინების დასაშვებად ცნობისთვის აუცილებელი იყო არცერთ დამაბრკოლებელ დარემოებას არ ჰქონოდა ადგილი. ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები ორ ჯგუფად

იყოფოდა: 1. ქორწინების აბსოლუტური დამაბრკოლებელი, ანუ გამომრიცხველი გარემოებები; 2. ქორწინების შეფარდებითი, ანუ ხელისშემშლელი გარემოებები.

პირველს მიეკუთვნებოდა: სქესობრივი მოუმწიფებლობა ანუ უსაკობა, მექორწინე მხარეთა შორის თანხმობის არარსებობა, სისხლით ნათესაობა, ქორწინებაში ყოფნა, სულით ავადმყოფობა. მეორეს - ნათესაობა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, წოდებრიობა, ანუ სოციალური უთანასწორობა, ტერიტორიული პრინციპი, ანუ ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ თვლიან ქორწინებას მიზანშეწონილად მორალის თვალსაზრისით. ქორწინებისთვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა **საქორწინო ასაკი**. 1003 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით, საქართველოში დაწესდა საქორწინო ასაკი ქალებში 12 წელი, ე. ი. მანამდე არსებობდა ქალებისთვის უფორ დაბალი საქორწინო ასაკი. რაც შეეხება ვაჟის საქორწინო ასაკს, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, იგი განისაზღვრებოდა სქესობრივად მომწიფებით ანუ 15-16 წლით. ქართული საოჯახო სამართლისა და ქორწინების ერთ-ერთი პრინციპი იყო **ნათესაობის არარსებობა**, ანუ ნათესაობა როგორც ქორწინების დამაბრკოლებელი პრინციპი. ეს პირობა აღიარებულ იქნა ბასილი კესარიელის კანონებით და VI მსოფლიო კრების დადგენილებით. აკრძალული იყო: მამის ძმისწულის ან დედის ძმისწულის ძმობა, ასევე მამის ან დედის დისწულის შერთვა. აკრძალა მამისა და შვილის დაქორწინება დედაზე, ან მამისა და შვილის დაქორწინება დედასა და ქალიშვილზე. არ დაიშვებოდა ორი ძმის დაქორწინება დედაზე. მკაცრად აკრძალა სისხლის ნათესავთა ქორწინება მე-8 თაობამდე. ქრისტიანულმა რელიგიამ დაადგინა რა ე. წ. „სულიერი ნათესაობა“, გამოაცხადა იგი ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. მონათლული, მიუხედავად იმისა, რომ სხვისი შვილი იყო, საკუთარ შვილის გაუთანაბრეს და, ბუნებრივად, აკრძალა მისი ქორწინება ნათესავებთან. ასევე აკრძალა ქორწინება შვილად აყვანილთან.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გარდა ზემოაღნიშნულისა ქორწინების დამაბრკოლებელი სხვა პირობებიც არსებობდა. მაგალითად, ქორწინებისთვის აუცილებელი იყო **„გაფიცვის“ არარსებობა**, ანუ არ უნდა ყოფილიყო ფიცი დადებული, რომ მხარეთა შორის არ დაიშვებოდა ქორწინება, სოფლის, თემის, ზოგჯერ ხევის შიგნით, ერთი სალოცავის მრევლთა შორის.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ქორწინების ერთ-ერთი დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლებოდა **ტერიტორიული პრინციპი**, ანუ ერთი სოფლის ფარგლებში ან ერთი უბნის ფარგლებში ქორწინება.

ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების პრინციპიდან გამომდინარე, ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებად ითვლებად ასევე **სოციალური, წოდებრივი და თანამდებობრივი უთანასწორობა**.

ქართული სამართალი მკაცრად მოითხოვდა ქორწინებისას **ერთმომწუნეობის (მართლმადიდებლობის) დაცვას**.

ქართული სამართალი არეგულირებდა ე. წ. „კიდით-კიდე“ ქორწინებას ანუ ისეთ ქორწინებას, როდესაც საქორწინო რიტუალს არ ესწრებოდა მექორწინე ან მექორწინეები. მაგრამ, ქორწინების ეს წესი 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით აკრძალა. სავალდებულო გახდა **მხარეთა დასწრება საქორწინო რიტუალზე**.

## 22. განქორწინება ძველ ქართულ სამართალში

უძველეს პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა საცოლის ყიდვით ქორწინებას, ლოგიკურია, რომ განქორწინება მამაკაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და გამოიხატებოდა **ცოლის მოშორებით**.

განქორწინების შესახებ ცნობები ქართული წყაროების მიხედვით მხოლოდ ქრისტიანოს მიღების პერიოდიდან შეიძლება მოვიპოვოთ. ამ მხრივ დახმარებას გვიწევს ი. ცურტაველის „შუშანიკის წამება“. ამ ნაწარმოების მიხედვით, განქორწინების მიზეზია ქმრის - ვარსქენის მიერ **ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა** და მაზდეანობის მიღება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა შუშანიკისთვის. მეორე მხრივ, ამ ნაწარმოების მიხედვით, განქორწინების მიზეზად შენს **ცოლის დაუმორჩილებლობა ქმრისადმი**. ქართული სამართლის მიხედვით, განქორწინების ერთ-ერთი საფუძველი იყო **მრუშობა**. ცოლის მრუშობისთვის მამაკაცს შეეძლო ქორწინების შეწყვეა - განქორწინება. რაც შეეხება მამაკაცის მრუშობას, იგი განქორწინების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი (ქმარი) კავშირს დაიჭერდა გათხოვილ მეოჯახე ქალთან. ქართული სამართლის მიხედვით, განქორწინების საფუძვლად ითვლებოდა ასევე **ცოლის ავადმყოფობა ანუ დასნეულება**. თუ ქალ იქორწინებამდე დასნეულდა, ქმარი ძალზე იოლად განქორწინდბა, ხოლო თუ ქორწინების პერიოდში ქმართან ყოფნისას, მაშინ ქმარს უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი სიძულვილით კი არ ეყრებოდა ცოლს, არამედ მისი დაავადების გამო.

ქართულ სამართალში დასახებულია **ქორწინებამდე ორსულობა**. ქორწინებამდე ორსულობა არ შეიძლება განქორწინების მიზეზი ყოფილიყო, თუ ქალი ქვრივი ან ნაქმარევი იყო და ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ხელახლა გათხოვდა, ან თუ ქმარმა იცოდა ცოლის ორსულობის შესახებ, ან თუ თვითონ დააორსულა იგი.

საქართველოში განქორწინების მიზეზად ასახელებენ ასევე ერთ-ერთი მეუღლისგან **სახელმწიფო დალატს**.

განქორწინების კანონიერი საფუძველი იყო საქორწინო თანაცხოვრებისთვის უვარგისობა ანუ **იმპოტენცია**, რამაც ქართულ კანონმდებლობაში ჰოვა ასახვა. განქორწინების ერთ-ერთი საფუძველი იყო ასევე მეუძლის (ქალის ან კაცის) **მონაზვნად აღკვეცა**.

განქორწინების საფუძვლად სჯულის კანონში დასახელებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორის **მოწამვლით მოკვლის მცდელობა**, რაც საქართველოშიც ამოქმედდა.

განქორწინების საფუძვლად შეიძლება დავასახელოთ ზნეობის დამრღვევი დანაშაულები, ე. წ. **სოდომური ცოდვები**. სოდომურ ცოდვებში იგულისხმებოდა მამათმავლობა, ცხოველმავლობა და ა.შ.

განქორწინება შეიძლება მომხდარიყო ე. წ. **„ცოლის წაგვრით“**. წაგვრა ანუ მოტაცება ორი სახის არსებობდა: პირველი, როდესაც ქალი (სხვისი ცოლი) სხვა მამაკაცს საკუთარი ნებით მიჰყვებოდა და, მეორე, როდესაც ქალი იძულებით მიჰყავდათ.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით აშკარად ჩანს, რომ განქორწინების ინიციატივა ეკუთვნის მამაკაცს. ქალს არ ჰქონდა განქორწინების საკითხის დასმის უფლებაც კი.

### 23. ანდერძით მემკვიდრეობა ძველ ქართულ სამართალში

ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება, მისი ქონების ბედის შესახებ, თუ ვის მიეკუთვნებოდა ეს ქონება. ქართული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ შვენში არსებობდა არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი თავისუფლება.

ქართული სამართალი არ ცნობდა სავალდებულო წილს. ამ დასკვნამდე მივყავართ იმ ფაქტს, რომ არცერთ საკანონმდებლო ძეგლში, არც ქართულ და არც ქართულად ნათარგმნ უცხოურ წყაროებში, არ არის ნახსენები სავალდებულო წილი. ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის გარკვევისას საჭიროა გაირკვეს ანდერძის სუბიექტთა ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლება ყოფილიყო. მოანდერძისათვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის, გარდა ასაკისა, აუცილებელი იყო მისი შერაცხადობა. დაუშვებელი იყო ანდერძის შედგენა იძულებით, დაშინებით, მოტყუებითა და სხვა გზებით.

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ცნობდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმის ანდერძს.

ანდერძი შეილება დაეწერა თვით მოანდერძეს ან სხვა პირს. საბუთებიდან ირკვევა, რომ ანდერძებს, ძირითადად, სასულიერო პირები ადგენდნენ.

ანდერძის ნამდვილობისთვის საჭირო იყო მოწმეები, რათა მათ აღედგინათ და გადმოეცათ მოანდერძის ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება, მისი ქონების ბედის შესახებ, თუ ვის მიეკუთვნებოდა ეს ქონება.

ქართული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ შვენში არსებობდა არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი თავისუფლება. ქართული სამართალი არ ცნობდა სავალდებულო წილს. ამ დასკვნამდე მივყავართ იმ ფაქტს, რომ არცერთ საკანონმდებლო ძეგლში, არც ქართულ და არც ქართულად ნათარგმნ უცხოურ წყაროებში, არ არის ნახსენები სავალდებულო წილი. ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის გარკვევისას საჭიროა გაირკვეს ანდერძის სუბიექტთა ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლება ყოფილიყო. მოანდერძისათვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის, გარდა ასაკისა, აუცილებელი იყო მისი შერაცხადობა. დაუშვებელი იყო ანდერძის შედგენა იძულებით, დაშინებით, მოტყუებითა და სხვა გზებით.

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ცნობდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმის ანდერძს.

ანდერძი შეილება დაეწერა თვით მოანდერძეს ან სხვა პირს. საბუთებიდან ირკვევა, რომ ანდერძებს, ძირითადად, სასულიერო პირები ადგენდნენ. ანდერძის ნამდვილობისთვის საჭირო იყო მოწმეები, რათა მათ აღედგინათ და გადმოეცათ მოანდერძის დანაბარები. ზოგჯერ დანაბარებს მოწმეები ანუ ანდერძის მთქმელის დამსწრეები წერილობითაც კი აფორმებდნენ. ქართული სამართალი დასტურდება საანდერძ დანაკისრის არსებობაც. რომის სამართლის მიხედვით, არსებობდა საანდერძო დანაკისრის ორი სახე: ლეგატი და ფიდუკომისი. ლეგატი იყო საანდერძო დანაკისრის ისეთი სახე, რომლის ძალითაც მემკვიდრეს ქონების გარკვეული ნაწილი უნდა გადაეცა მესამე პირისათვის, ხოლო ფიდუკომისიის ძალით მემკვიდრეს უნდა შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება. ანდერძით მემკვიდრეობის განხილვისას

ყურადღებას იპყრობს ანდერძის შეცვლის საკითხი. წყაროებით ირკვევა, რომ მოანდერძეს შეეძლო უკვე შედგენილი და მიცემული ანდერძი შეეცვალა თავისი შეხედულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში ძველი ანდერძი ძალას კარგავდა და მოქმედებდა ახალი ანდერძი. იგი უნდა შესრულებულიყო ისე, როგორც მოანდერძეს სურდა. ანდერძის აღმსრულებლად მოანდერძე სპეციალურად ასახელებდა პირს, რომელსაც იგი ენდობოდა და რომელიც აღასრულებდა ამ ანდერძს მისი სურვილის შესაბამისად.

ქართული სამართალი იცნობს ანდერძის მოწმის ცნებასა და შინაარსს. ანდერძის მოწმის ხელწერილის გარეშე ძალა არ ჰქონდა, იგი ბათილი იყო. სხვადასხვა საბუთებითიდან ირკვევა, რომ ანდერძის მოწმე შეიძლებოდა ყოფილიყო საეკლესიო პირი ან სხვა რიგითი მოქალაქე. მოწმეთა რაოდენობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული.

## 24. კანონით მემკვიდრეობა ძველ ქართულ სამართალში

კანონისმიერი მემკვიდრეები მაშინ გამოდიან ასპარეზზე, როდესაც არ არსებობს ანდერძი, ან არის იგი, მაგრამ სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგოა. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დაპირისპირებას, რას საბოლოოდ კანონისმიერი მიმემკვიდრეობის გამარჯვებით მთავრდება. კანონისმიერი მემკვიდრეობა არ ანიჭებს აბსოლუტურ თავისუფლებას მოანდერძეს, იგი გარკვეულად ზღუდავს მას, იმიტომ, რომ კანონი საერთო ნებაა. კანონისმიერი მემკვიდრეობა საფუძველს იღებს ზნეობიდან, ამიტომ კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები ადათობრივ ნორმებსაც ეყრდნობა.

მემკვიდრეობის საფუძველს შეადგენდა ნათესაობა. იმ ნათესაობის აღსანიშნავად, რომელიც შეიძლება მემკვიდრედ გამოსულიყო, ქართულში მრავალი ტერმინი გამოიყენებოდა: შვილი, მშობელი, მკვიდრი, თვისი, მეყვსი და ა. შ.

ფეოდალურ საქართველოში უძველესი დროიდან მემკვიდრეობა გადადიოდა ერთსახლობაზე ანუ გაუყრელ ოჯახზე. ამ შემთხვევაში სამკვიდრო ოჯახიდან არ გადიოდა და იქვე რჩებოდა. შედარებით მოგვიანებით მემკვიდრეობად გამოდიან ოჯახიდან გაყრის შედეგად გასული ნათესავები.

ქართული სამართლის მიხედვით, კანონით მემკვიდრეთა წრეში, პირველ ყოვლისა, შედიოდნენ შვილები, ამასთან, უპირატესობა ენიჭებოდა ვაჟიშვილებს. მემკვიდრეობაში ვაჟიშვილები მშობლების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. ვაჟების უპირატესობა ქალიშვილებთან შედარებით იმით იყო განპირობებული, რომ ვაჟები გვარის გამგრძელებლები იყვნენ. უვაჟიშვილო ოჯახი მოიხსენიებოდა როგორც „დავსებული“, „ამოწყვეტილი“. რაც შეეხება ქალიშვილს, იგი აგრძელებდა სხვა გვარის სიცოცხლეს, რადგან სახლიდან მიდიოდა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ადგილი ჰქონდა ლევირატი მოვლენას, რაც გულისხმობდა უშვილოდ გარდაცვლილი ძმის ცოლის შერთვას ძმის მიერ, რათა არ გადაშენებულიყო გარდაცვლილი ძმის ოჯახი.

„საუფროსო“ („მაიორატი“) არის მემკვიდრეობაში დამატებითი წილი უფროსი შვილისათვის. ზოგჯერ მას უწოდებენ „საუხუცესოს“. ტერმინ „საუმცროსოთი“ („მინორტი“) აღინიშნებოდა უმცროსი ძმის დამატებითი წილი სამემკვიდრეო ქონებაში. შუათანა ძმის წილს მემკვიდრეობში „სასაშუალო“ ეწოდებოდა.

„საჭირნახულო“ ჭირნახულისათვის, გარჯილობისათვის განკუთვნილი წილია. იგი შეიძლებოდა მიეღო როგორც უფროსს, ისე საშუალოს ან უმცროს ძმას. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთდროულად გამოუყვიათ საუფროსოც, საუმცროსოც, სასაშუალოც და საჭირნახულოც.



ქართული სამართალი იცნობს ავადმყოფი შვილის წილს მემკვიდრეობისას, თუმცა ეს საკითხი წესრიგდებოდა არა უშუალოდ ქართული სამართლით, არამედ ვახტანგ VI-ის კოდიკოში შეტანილი ბერძნული სამართლით.

ნაშვილები, როგორც მემკვიდრე, გათანაბრებულია ღვიძლ შვილებთან. ნაშვილები ძირითად ქმრის ნათესავია, მაგრამ შეიძებოდა არანათესავი ყოფილიყო. ნაშვილებს ქონება ეძლეოდა შვილების თანაბრად როგორც კანონით, ისე ანდერძით. ნაშვილები კარგავდა მემკვიდრეობის უფლებას უფლებას თუ იგი გაძევებული იყო ოჯახიდან.

უკანონოდ შობილთა სამემკვიდრეო უფლებები, ანუ კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებულთა მემკვიდრეობა ქართულ სამართალში იწოდება როგორც ნაბიჭვართა მემკვიდრეობა და ისინი სარგებლობენ უაღრესად შეზღუდული უფლებებით.

აღმავალი და გვერდითი ხაზის სამემკვიდრეო უფლებებზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ ქართულ სამართალში მკვეთრად არ არის გამოხატული მშობლების სამემკვიდრეო უფლებები. მშობლების მემკვიდრეობად ცნობის ფაქტს ვასკვნით წყაროთა ანალიზის შედეგად. გვერდითი ხაზის ნათესავები, დები და ძმები, მხოლოდ მაშინ იღებენ მემკვიდრეობაშ წილს, როცა აღარ არის კანონისმიერ მემკვიდრეთა პირველი ან მეორე რიგი. კანონით მემკვიდრეთა წრეში შედიოდა ქვრივიც. აღბუღას სამართლის მიხედვით, თუ ქვრივი უშვილოა, მას რჩება თავისი მზითვევი, მამული კი ბატონს. ქვრივი მამაკაცი, თავისი ცოლის ქონების მემკვიდრეა.

უპატრონო, ანუ ბეითალმანი, ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც მემკვიდრე არ გამოუჩნდა. მას ისაკუთრებდა მეფე ან ბატონი.

## 1. დიდი სჯული კანონი

XVIII საუკუნის ქართული ხელნაწერი წიგნი, გადაწერილია 1790 წლის მახლობლად. გადამწერი უცნობია, მომგებელი უცნობია.

საწერ მასალად გამოყენებულია მოლურჯო ქაღალდი, შეიცავს 295 ფურცელს; ფურცლის ზომებია 33X21.5 სანტიმეტრი. ყდა ტყავგადაკრული ტვიფრული ხისაა. ტექსტი შესრულებულია მხედრულიდამწერლობით, შავი და სინგური მელნით.

დიდი სჯულისკანონი (A-9) ინახებოდა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში, დღეს კი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A ფონდში. შემადგენლობა:

- 1) "მოციქულთა" (85 საეკლესიო კანონი);
- 2) მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები;
- 3) ადგილობრივი საეკლესიო კანონები;
- 4) ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა.

ძეგლი თარგმნა არსენ იყალთოელმა XI-XII საუკუნეების

მიჯნაზე. ეს ძეგლი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 883 წლის რედაქციით,

14 ტიტულოვანი ნომოკანონის სახით. მან კონსტანტინოპოლის 920 წლის კრებაზეზოგადქრ

ისტორიული სახელმძღვანელოს სახე მიიღო. იგი განსაკუთრებით მდიდარია სამართლებრივი შინაარსის ტერმინებით.  
(ნომოკანონი – ბერძ. კანონი, წესი. მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის კრებული)

დიდი სჯულისკანონიარსენ იყალთოელის მიერარის ნათარგმნი მე- 11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში. ნომოკანონი ბერძნულადნიშნავს კანონს და წესს. ნომოკანონი ეწოდება მართმადიდებლურისაეკლესიო სამართლის კრებულებს, რომლებიც შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის ნორმების დებულებებს. მართმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადიკანონიკურიკოდექსი ჩამოყალიბდა მე-9 საუკუნის ბოლოს, 14 ტიტულოვანი ნომოკანონის სახით. მან 920 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე ზოგადქრისტიანულსახელმძღვანელოს ხასიათი მიიღო. კანონიკური კოდექსის წყაროები 4 ჯგუფად იყოფა: 1) მოციქულთას სახელითცნობილი85 საეკლესიო კანონი 2) მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებულიკანონები3) ადგილობრივი საეკლესიოკანონები4) ავტორიტეტულსაეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარულიკანონმდებლობა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა კანონიკურიკრებულის შემადგენლობა საჭიროების მიხედვით. ბრალის შესახებმცირე და დიდი სჯულის კანონები ერთნაირიწყაროებითხელმძღვანელობდნენ. დიდი სჯულისკანონი განსაკუთრებითმდიდარია სამართლებრივი შინაარსის ტერმინებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „დამთხვევა“ რომელიც შემთვევით მომხდარ დანაშაულს გულისხმობს და „წინასწარწურთილება“ რომელიც განზრახ ჩადენილდანაშაულს ნიშნავს.

## 2. მცირე სჯულის კანონი

(ძვ. ქართ. მცირე რჩულისკანონი ან მცირედი რჩულისკანონი[1]) — XI საუკუნის ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლი. ნათარგმნია ბერძნულიდან ექვთიმე მთაწმინდელის მიერ, თუმცა ეს არაა ზუსტი თარგმანი და მისი ბერძნული დედანი არ არსებობს. ძეგლში მოცემულია სამართლის მრავალი დარგის შესასწავლი მასალა. წარმოდგენილია სისიხლის სამართლის არაერთი ინსტიტუტი; საუბარია სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სასჯელზე, ბრალის დადების დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე და სხვა. ამ საკითხებთან დაკავშირებთ ექვთიმე მთაწმინდელი საკუთარ ახსნა–განმარტებასაც იძლევა[2]. არ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებოდა მცირე სჯულისკანონი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. მცირე სჯულისკანონი ექვთიმეს გადათარგმნილი აქვს მამის სიკვდილის შემდეგ[3]. ექვთიმეს მამა 1005 წელს გარდაიცვალა[4]. თავად ექვთიმე 1028წელს გარდაიცვალა[4], რის საფუძველზეც ძეგლის თარგმნის დაახლოებით თარიღად 1005–1028 წლებია მიჩნეული. მცირე სჯულისკანონი ოთხი ნაწილისაგან შედგება: მეექვსე მსოფლიო კრების (ტრულის 692 წლის კრება) კანონები („წესი და განგება და რჯულის კანონი მეექუსისა კრებისაა“. „კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა“ „კანონნი დღითი–დღეთა ცდომათანი“ „ძეგლის წერა სარწმუნოებისა“[5]

პირველი ნაწილი ცალკე შრომად ითვლებოდა და იგი ცალკე გამოსცა ალექსანდრე ხახანაშვილმა[6]. ასევე მიჩნეული ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის მიერ[7][8]. ალექსანდრე ხახანაშვილმა და ნ. ზაოზერსკიმ ცალკე გამოსცეს მეორე ნაწილიც[9]. სამეცნიერო ლიტერატურაში, კორნელი კეკელიძისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ ეს ნაწილიც, პირველის მსგავსად, ცალკე შრომად მიჩნეული[7][8]. მესამე ნაწილს ნ. ზაოზერსკი და ალექსანდრე ხახანაშვილი მეორის (კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა) ნაწილად თვლიდნენ[9]. ხოლო მეოთხე ნაწილი VII მსოფლიო საეკლესიო კრების ნაწილად მიიჩნევა[10] თავად ავტორს, ექვთიმე მთაწმინდელს, მცირე სჯულისკანონი (მცირე რჩულისკანონი) ერთ შრომად მიაჩნია და აღნიშნავს: „მაიძულეს ღმრთისმოყუარეტა და სულიერთა ძმათა აღწერად მცირედი ესე რჩულისკანონი“[11]. მცირე სჯულისკანონს ერთიან და მთლიან ნაშრომად მიიჩნევს ასევე ივანე სურგულაძეც[12]. მცირე სჯულისკანონის შედგენილობის ქართულის ზუსტი შესატყვისით კრებული ბერძნულ ენაზე არ არსებობს. ექვთიმეს იგი ამოკრებილი აქვს სხვადასხვა წყაროდან, ამიტომ ძეგლს ერთიანი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობა არ აქვს. თარგმნისას მას არა მარტო თავისებურად აქვს დალაგებული ძეგლი, არამედ თავისუფალი თარგმანი აქვს გაკეთებული. ექვთიმე ხშირად ხშირად უმატებს საკუთარ მოსაზრებებსაც. ქართული სჯულისკანონი სავარაუდო ბერძნულ დედანთან შედარებით კანონის ახსნა-განმარტებებს, დასაბუთებასა და მსჯელობასაც შეიცავს[13]. ამგვარი თავისუფალი თარგმნაეი ექვთიმესთვის დამახასიათებელი იყო, ამას აღნიშნავდა ეფრემ მცირეც[14]

შემადგენლობა:

- 1) მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები;
- 2) კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა;
- 3) კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი;
- 4) ძეგლის წერა სარწმუნოებისაი.

ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა 1005–1028 წლებში. ექვთიმეს ეს კრებული სხვადასხვა წყაროდან აქვს ამოკრებილი. ექვთიმე მთაწმინდელმა ტექსტი ბრმად არ გადმოთარგმნა, მან იგი შეცვალა და მოარგო ქართულ სინამდვილეს. ძეგლში საუბარია სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სასჯელზე, ბრალის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე და ა.შ.

მცირე სჯულისკანონი<sup>4</sup> ნაწილისაგან შედგება: 1) მე-6 მსოფლიოსაეკლესიო კრების (ტრულის) კანონები 2) კანონნიშეცოდებულთანიიოანემმარხველისა. 3) კანონნიდღითი-დღეთა ცდომათანი. 4) ძეგლის წერა სარწმუნოებისაი. ეს 4 ნაწილი წარმოადგენს კრებულსრომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმემთაწმინდელმა. ეს შეუსრულებია მამის სიკვდილის შემდეგ, შესაბამისად, დაწერილია 1005-1028 წლებში. ასეთი შედგენილობის ქართულისზუსტი შესატყვისიარ არსებობს ბერძნულენაზე. ეს იმას ნიშნავსრომ ექვთიმეს თავად ამოუკრეფია სხვადასხვა წყაროდან. მრავალინაწილითავად გადააკეთა და ახსნა- განმარტებებიდა დასაბუთება-მსჯელობებიდაუმატა. ტექსტს ექვთიმე ბრმად არ მისდევს და ქართული სინამდვილიდან გამომდინარე ამცირებს ან ავრცობს.ძეგლსი საუბარია სისხლის სამართლის ინსტიტუტებზე. საუბარია სხვადასხვა სახის

დანაშაულზე, სასჯელზე და ბრალის დამამძიმებელდა შემამსუბუქებელ გარემოებებზე. იმ პერიოდში მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებულ დადგენილებებს ქრისტიანულ ქვეყნებში კანონის ძალა ჰქონდა და სწორედ ამ მიზეზით თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა ეს შრომა ქართულ ენაზე.

### 3.4. უცხოური სამართლის ქართული ვერსიები

- **ებრაული (მოსეს) სამართლის ქართული ვერსია**

ებრაული სამართლის ქართული ვერსია ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას ბიბლიიდან, კერძოდ ძველი აღთქმის მეხუთე წიგნიდან – მეორე რჯულიდან გადმოიღია.

მეორე რჯული 34 თავისაგან შედგება, ხოლო თითოეული თავი კი რამდენიმე ათეული მუხლისაგან. კომისიას ამოუკრებია ის ნორმები, რომლებიც საქართველოსათვის იყო გამოსადეგი. ებრაული სამართლის ქართული ვერსია 52 მუხლისაგან შედგება.

შესული იყო სისხლის სამართლის მუხლები, ბრალის საკითხები, სამოქალაქო სამართლის მუხლები, საოჯახო–საქორწინო მუხლები და სხვა. მკაცრად და კატეგორიულადაა დასმული საკითხი რჯულის დაცვაზე. მრავალი მუხლი ეძღვნება სარწმუნოებისა და რელიგიური რიტუალების დაცვასა და აღსარებას.

მოსეს სამართალი არის რელიგიურ და ეთიკურ ნორმათა ერთობლიობა.

- **ბერძნული სამართლის ქართული ვერსია**

ბერძნული სამართალი წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შიგადაშიგ შევსებულია კონსტანტინე არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან. ქართული ტექსტი წარმოადგენს ბერძნული ტექსტის გამოკრებილ, თავისუფალ თარგმანს. ძველი შედგება 418 მუხლისაგან.

მათე ვლასტარი იყო სასულიერო პირი, მან შეადგინა 1335 წელს ანბანური წესით დალაგებული სინტაგმა, რომელიც საეკლესიო კრებათა დადგენილებებსა და საერო შინაარსის კანონებს შეიცავდა.

კონსტანტინე არმენოპულო იყო ბიზანტიელი იურისტი, მან 1345 წელს შეადგინა სამართლის წიგნი, რომელიც წარმოადგენს პროხეირონის (IX ს.) შემოკლებულ რედაქციას.

- **სომხური სამართლის ქართული ვერსია**

ძველი შედგება შესავლისა და 431 მუხლისაგან, რომელშიც პირველი 150 მუხლი არის სირიულ-რომაული სამართალი, 151-402 მმ-ბი არის მხითარ გოშის სამართლის წიგნი, ხოლო 403-431 მმ-ბი სხვა მუხლების გამეორებაა. სომხური სამართალი ვახტანგ VI-ს ეჩმიაძინიდან ჩამოუტანინებია.

სირიულ-რომაული სამართალი შედგენილია ბიზანტიაში V ს-ის დამლევეს. სომხურად თარგმნილია XII ს-ში.

მხითარ გოში იყო ვარდაპეტი, ანუ საეკლესიო სჯულის სპეციალისტი. ის იყო მონაზონი.

მხითარ გომის სამართლის ქართული ვერსია წარმოადგენს სომხური დედნის შემოკლებულ და ალაგ-ალაგდამახინჯებულ თარგმანს.

სამართლის წიგნის წერა მხითარ გომს 1184 წელს დაუწყო, იგი ამ წიგნს მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში ე.ი. 1213 წლამდე წერდა.

ძეგლის წყაროებია: ბიბლია, სახარება, მოციქულთა კანონები, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილებები, სასამართლო პრაქტიკა, ჩვეულებითი სამართალი და სხვა.

## სომხური სამართალი

ვახტანგი ამ ძეგლის შესახებ ამბობს, რომ იგი ეჩმიაძინიდან ჩამოატანინა. სომხურ სამართალი 2 ნაწილისაგან შედგება: 1) სირიულ-რომაული სამართალი და 2) მხითარ გომის სამართალი.

ვლ.სოკოლსკის გამოკვლევით სირიულ-რომაული ბიზანტიაშია შექმნილი და ცნობილია მისი სამირედაქცია: სირიული, არაბული და სომხური. სომხურ სამართალი გამოსცა პროფესორმა მელიქსეთბეგმა, რომლის აზრითაც, სირიულ-რომაული სამართლის კრებული თარგმნილია სომხურად მე-12 საუკუნის ბოლოს კილიკიის სომეხი ეპისკოპოსის-ნერსეს ლამბრონელის მიერ. ვლ.სოკოლსკის ამბობს, რომ ეს კრებული როგორც სომხეთში, ასევე საქართველოშიც მოქმედებდა, რასაც ბევრი სომეხი მკვლევარი იზიარებს. რაც შეეხება მხითარ გომს, იგი განჯაში დაიბადა და გრიგორიანული სარწმუნეობის მიმდევარი,

ჭვთისმეტყველი, მოძღვარი და მონაზონი ყოფილა. სწავლებისთვის იგი კილიკიაში გადავიდა, დაბრუნებისას კი მონასტერი დაარსა და სომხურ მწერლობაში დაწყოსაქმიანობა. ცნობილია მისი იგავ-არაკები. მას წერა, როგორც ამას თვითონ აღნიშნავს, გიორგიმე-3-ის გარდაცვალების წელს 1184 წელს დაუწყო და სიცოცხლის ბოლომდე წერდა, ანუ 1213 წლამდე.

სომხურ სამართალი შედგენილია კაზუსების სახით, გარკვეული სისტემის მიხედვით.

მხითარ გომის სამართლის წიგნის შედგენისას ხელმძღვანელობდა საღმრთო წიგნებით: მოსეს კანონი, თეოდოსისა და იუსტინიანეს კანონებით. მის წიგნში, აგრეთვე, შევიდა სასამართლო პრაქტიკა და სომხეთის ნაციონალური ჩვეულებანი.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსია. ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია ბერძნული სამართალი. დიდი ხანია მეცნიერების ყურადღებას იქცევს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროს საკითხი. ვლ.სოკოლსკიმ დაწვრილებით განიხილა ყველა არსებული მოსაზრება, ღრმად შეისწავლა საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბერძნული სამართალი წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შიგადაშიგ შევსებულია არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან. ამასთანავე, ვლ.სოკოლსკის აზრით, ქართულის შესატყვისად, ბერძნულის ასეთივე რედაქცია უნდა არსებულიყო, რადგანაც მასალა ბერძნული ანბანის მიხედვითაა დალაგებული. მეცნიერმა თ.ბრეგაძემ მართლაც აღმოაჩინა ქართული ტექსტის შესატყვისი ბერძნული ხელნაწერი და ქართულ-

ბერძნული ტექსტი სათანადოგამოკვლევითგამოსცა კიდეც. ბერძნულ ხელნაწერში, რომლიდანაც ქართულითარგმანია გაკეთებული, მრავალი ქართულიმინაწერიგვხვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ სწორედეს ხელნაწერიჰქონდათხელთ ქართულად მთარგმნელებს. ბერძნულიხელნაწერიგადაწერილიყოფილა 1670 წელს გალაცში. ხელნაწერივლახური ყოფილა. ვლახეთი კი იმ პერიოდში საქრისტიანო აღმოსავლეთისცენტრად იქცა. ქართველებიკარგად იცნობდნენ ვლახეთს და მასთან კულტურული კავშირიც ჰქონდათ დამყარებული. მათე ვლასტარიცნობილიყოროგორც ეკლესიის კანონიკური სამართლისდიდი მცოდნე, რომელმაც შეადგინა სინტაგმა. ხოლო კონსტანტინე არმენოპულოიყოგამოჩენილი იურისტი,ცხოვრობდა ბიზანტიაში. ვახტანგის სამართლის წიგნში მოთავსებული ბერძნული სამართლის ქართულითარგმანის ბერძნულიხელნაწერიშედგენილია ვლახეთშიდა წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმას კონსტანტინე არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან“ ჩამატებებით გავრცობილს.

„ებრაული სამართალი“ და „ბერძნული სამართალი“

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილიაბერძნული სამართალი. დიდი ხანია მეცნიერების ყურადღებას იქცევს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროს საკითხი. ვლ.სოკოლსკიმ დაწვრილებით განიხილა ყველა არსებული მოსაზრება, ღრმად შეისწავლა საკითხიდა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულშიშეტანილიბერძნულისამართალი წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმის შემოკლებულრედაქციას, რომელიც შიგადაშიგ შევსებულია არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან. ამასთანავე, ვლ.სოკოლსკის აზრით, ქართულის შესატყვისად, ბერძნულის ასეთივერედაქცია უნდა არსებულიყო, რადგანაც მასალა ბერძნულიანზანის მიხედვითაა დალაგებული. მეცნიერმა თ.ბრეგაძემ მართლაც აღმოაჩინა ქართული ტექსტის შესატყვისიბერძნულიხელნაწერიდა ქართულ-ბერძნული ტექსტი სათანადოგამოკვლევითგამოსცა კიდეც. ბერძნულ ხელნაწერში, რომლიდანაც ქართულითარგმანია გაკეთებული, მრავალი ქართულიმინაწერიგვხვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ სწორედეს ხელნაწერიჰქონდათხელთ ქართულად მთარგმნელებს. ბერძნულიხელნაწერიგადაწერილიყოფილა 1670 წელს გალაცში. ხელნაწერივლახური ყოფილა. ვლახეთი კი იმ პერიოდში საქრისტიანო აღმოსავლეთისცენტრად იქცა. ქართველებიკარგად იცნობდნენ ვლახეთს და მასთან კულტურული კავშირიც ჰქონდათ დამყარებული. მათე ვლასტარიცნობილიყოროგორც ეკლესიის კანონიკური სამართლის დიდი მცოდნე, რომელმაც შეადგინა სინტაგმა. ხოლო კონსტანტინე არმენოპულოიყოგამოჩენილი იურისტი,ცხოვრობდა ბიზანტიაში. ვახტანგის სამართლის წიგნში მოთავსებული ბერძნული სამართლის ქართულითარგმანის ბერძნულიხელნაწერიშედგენილია ვლახეთშიდა წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმას

კონსტანტინე არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან“ ჩამატებებით გავრცობილს. ებრაული ანუ მოსეს სამართალი, რომელიც შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში, შეიცავს ბიბლიიდან ამოკრებილ მუხლებს, ეს არის დაბადების ინ ნაწილი, რომელსაც "მეორე სჯულის კანონი" ეწოდება. იგი ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის ერთერთი ნაწილი (მეხუთე წიგნია). მის შედგენას მოსეს მიაწერენ, სინამდვილეში იგი ებრაელთა მეფის იოსიას მიერ უნდა იყოს შედგენილი, როცა სახელმწიფო რეფორმები ჩატარდა. მასში მოცემული არელიგიური კანონმდებლობა, რომელიც ქრისტიანულ ქვეყნებში მოქმედს სამართლის წიგნად ითვლება; ებრაელთა ხეტიალი უდაბნოში; მოსეს სიკვდილი და მისი დასაფლავება.

## 5. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი

სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლოები ჯერ კიდევ გვაროვნული წყობის პერიოდში იყო. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს გვარის უფროსი წყვეტდა, ხოლო გვარებს შორის წარმოშობილ მედიატორები. მედიატორებს ირჩევდნენ მხარეები, რაღა უსიხლოდ მოეგვარებინათ პრობლემა, ე.ი. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება მხარეთა მშვიდობიანი მორიგება იყო. სასამართლო საქმეებს იხილავდნენ ასევე სახალხო კრებები. სასამართლო ფუნქციები გააჩნდათ ასევე სამხედრო მთავარსარდლებსაც. სასამართლო ორგანიზაცია უფრო ჩამოყალიბდა გაერთ. ფეოდალ. საქართველოში. ამ დროს მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო უწყებას ექვემდებარებოდა სამეფო და საკათალიკოსო სასამართლოებს. უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებდა მეფე, მის სასამართლოს სამართალი სამეფო ერქვა, სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ მეფე მხოლოდ რთულ და გახმაურებულ საქმეებს განიხილავდა. სხვა კატეგორიის საქმეებისთვის კი ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლო დაწესებულება (სააჯო კარი, საბჭო, სამსჯავრო სახლი), სადაც ისხდნენ კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი და იხილავდნენ საჩივრებს. სააჯო კარს სათავეში ედგა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, რომელიც მხოლოდ ორშაბათობით იხილავდა საქმეებს. სააჯო კარი განიხილავდა ქვემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით უკმაყოფილა პირთა საჩივრებს და იყო უმაღლესი ინსტანციის სასამართლო. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი სააჯო კარში საქმეებს განიხილავდა საწოლის და ზარდახანის მწიგნობრებთან ერთად. სასამართლო ფუნქციები გააჩნდათ ასევე სახელმწიფო საბჭოს და დარბაზსაც. გარდა ამისა დაარსებული იყო სპეციალური სასამართლოებიც, მაგალითად მპარავთმძებნელთა. **ამგვარად, არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა:**<sup>1</sup> უმაღლესი მოსამართლე იყო მეფე, რომელიც უშუალოდ ან სპეციალურ პირთა დახმარებით იხილავდა საქმეებს.<sup>2</sup> სასამართლო ფუნქციები გააჩნდა დარბაზს.<sup>3</sup> არსებობდა სააჯო კარი უმაღლესი ინსტანციის სასამართლო.<sup>4</sup> არსებობდა საკათალიკოსო სასამართლო, იხილავდა საეკლესიო მსახურთა ან ყმების საქმეებს.<sup>5</sup> არსებობდა სამპარავთმძებნელო სასამართლო.<sup>6</sup> არსებობდა წოდებრივი სასამართლო.<sup>7</sup> არსებობდა ფეოდალთა სასამართლო, სადაც ფეოდალი ახორციელებდა მართლმსაჯულებას.

სამართალწარმოება სათავეს იღებს ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ეპოქაში.

სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლო

მოქმედებდა გვაროვნული წყობილების პერიოდში. გვარშიწარმოშობილკონფლიქტებს გვარის უფროსი წყვეტდა. ხოლო გვარებს შორისუთანხმოების მოსაგვარებლადმედიატორებს მიმართავდნენ. სამედიატორო სასამართლოს ძირითადიდანინშნულეზა იყომხარეთა მშვიდობიანი მორიგება. გარდა სამედიატორო სასამართლოებისა, სასამართლო საქმეებს იხილავდნენ სახალხო კრებები. სამართალწარმოება მათი უმთავრესიფუნქცია არ იყო, მაგრამ მათ შორის სადავო საკითხებსაც იხილავდნენ. სასამართლო ფუნქციები ასევე გააჩნდათუმაღლესი ადმინისტრაციული უფლების მქონე პირებს, მათ შორისუმაღლეს სამხედრომთავარსარდალს. ის სამხედრო საქმესა და მართლმსაჯულებას ახორციელებდა. გაერთიანებულფეოდალურ საქართველოშისაქართველოს სახელმწიფოს მთელიმოსახლეობა ორ მთავარ სასამართლოუწყებას ექვემდებარებოდა: სამეფო სასამართლო და საკათალიკოსო სასამართლო. ეს უკანასკნელიეკლესიის საქმეში შემავალპირთა საქმეებს იხილავდა. ამ პერიოდშიუზენაეს მართლმსაჯულებას მეფე ახორციელებდა. ამას „სამართალი სამეფო“ ეწოდებოდა. მეფერთულდა გახმაურებულსაქმეებს იხილავდა. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სასამართლო დაწესებულებები, რომლებიც საქმეებს იხილავდნენ, ესენია: სააჯო კარი, საბჭო, სამსჯავროსახლი. სააჯო კარს სათავეში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ედგა. ის ორშაბათობითედგა სათავეში სააჯო კარს. მას ეხმარებოდა ორი მწიგნობარი, ზარდახანისა და საწოლის. მართლმსაჯულებისფუნქციებიჭყონდა დარბაზსაც. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სასამართლოებიც- მპარავთმძებნელთა. მპარავთმძებნელის ფუნქცია ქურდების ძებნა იყო, მას ეხლამრებოდნენ მოხელეები, ჩენილები. არსებობდა წოდებრიობაზე აგებული სასამართლოებიდაფეოდალთა სასამართლოები. გაერთიანებულსაფეოდალოსაქართველოში არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა: 1) უმაღლესი მოსამართლე იყომეფე, 2) სასამართლო ფუნქციებიგააგნდა დარბაზს, 3) სააჯო კარი, 4) საკათალიკოსო სასამართლო, 5) სამპარავთმძებნელო სასამართლო, 6) წოდებრივისასამართლო, 7) ფეოდალთა სასამართლოები.

ძველი ქართული სასამართლო პროცესის ზოგადი დახასიათება (შერეული პროცესი)

უძველესი დროიდან საქმის გამრჩევი ყველა პირი იწოდებოდა მსაჯულად, ბჭედ ან მოსამართლედ. ქართული სამართლის ძეგლები განსაკუთრებულყურადღებას აქცევენ მოსამართლისათვის აუცილებელთვისებებს. ბაგრად კურაპალატის სამართლის წიგნში ხაზგასმულია, რომ მოსამართლე უნდა იყოსღვთისმომშიში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არავის ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს. ზოგ შემთხვევაში დასაშვებია მოსამართლის გაწყრომაც, როცა ეს საჭიროა საქმის განხილვისას. სასამართლო პროცესში მონაწილემხარეებს „მოდავეები“ ეწოდებათ, მოსარჩლეს „მოჩივარი“, ხოლო მოპასუხეს „მოადი“. ურთიერთდავას „ცილება“ ერქვა. ისტორიულად ცნობილია სასამართლო პროცესის სამი ფორმა: 1) საბრალდებო, 2) ინკვიზიციურიანუსამძებრო, 3)



შერეული. საბრალდებო პროცესისასამართლო პროცესისუძველესიფორმაა. მისთვის დამახასიათებელია მთელირიგი პრინციპები. ესაა შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც იმითგამოიხატება, რომ მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებებიჰქონდათ. ისინისაქმის დაწყების ინიციაორებიყვენენ, აგროვებდნენდამამტკიცებელ საბუთებს და განსახილველად აძლევდნენ მოსამართლეებს. მოსამართლეებს მხოლოდუნდა შეესწავლათ წარმოდგენილი მასალები და გამოეტანათგანაჩენი. წინასწარი გამოძიება არ ტარდებოდა მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვას ჰქონდა ადგილი. სხვა პრინციპებია ზეპირობა და საჯაროობა. ფეოდალიზმის პერიოდშიწარმოიშვა პროცესის მეორეფორმა- ინკვიზიციური ანუსამძებრო. საქმის აღძვრა უკვე აღარ ხდებოდა მხარეთა კერზონიციაციით, არამედ სახელმწიფო თავისი მოხელეების ინიციატივითიწყებდა პროცესს. აღარ იყო დამახასიათებელიშეჯიბრიანობის პრინციპი. მხარეები თანასწორუფლებიან სუბიექტებადაღარ გვევლინებოდნენ. ორივეს ფუნქციებს სასამართლო ასრულებდა. ის იწყებდა საქმეს, აგროვებდა მტკიცებულებებს. პროცესიწერილობითდა საიდუმლოდ მიმდინარეობდა, გამოიყოფილია წინასწარი გამოძიების სტადია, როცა ხორციელდებოდა მტკიცებულებათა შეკრება. ყველაზე სრულყოფილსაბუთად ითვლებოდა ბრალდებულის მიერბრალის აღიარება. ამ პერიოდის სასამართლო პროცესიძირითადად შეიძლება ჩაითვალოს სამძებროდ, საბრალდებო პროცესის ელემენტებით.

#### დანაშაულთა კლასიფიკაცია ძველქართულ სამართალში

სამართალდარღვევათა სახეების განსხვავების საფუძვლად ამა თუ იმ ქმედებების სირთულე, მრავალსახეობა და არსის გათვალისწინება იყო მიჩნეული. დანაშაულთა კვალიფიკაციისას თუ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამნაშავის ასაკს, დამნაშავისფიზიკურ დაფსიქიკურმდგომარეობას, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროსდა სხვა პირობებს თუ გარემოებებს. ივ.ჯავახიშვილის მიხედვითადრეფეოდალური ქართული სამართალი დანაშაულის სამ სახეს იცნობდა: დიდი დანაშაული, მცირე და საშუალო. ივ.ჯავახიშვილის მიხედვით დანაშაულის კლასიფიკაცია დამყარებული ყოფილა ბრალზე. ძვ. ქართულსამართალში დანაშაულის კლასიფიკაციისას აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა ბრალის გათვალისწინება,დანაშაულის გამომწვევიმიზეზებიდა სხვ. დანაშაულის შინაარსის გასარკვევად ექ.მთაწმინდელი დამნაშავის ნებას აქცევს ყურადღებას. თუვინმემ განზრახვით მოკლა ადამიანი ეს იქნებოდა „ნებსითკაცისკულია“, მაგრამ შეიძლებოდა ვინმე უნებლიედ მოგეკლა და ეს იქნებოდა „უნებლიეთი კაცის კულია“ ანუშემთხვევითი. ექ.მთაწმინდელი თვლის რომ თავისთავად ნებსით და უნებლიეთ მკვლელობაც იყოფა სხვადასხვა ნაწილებად. ნებსით ანუ განზრახვით მკვლელობის მაგალითადის ასახელებს მკვლელობას შუბით, მახვილით, საწამლავით ჩვილის მოკვლა (წამლის გამცემიდა მიმღები), ასევე მამაკაცისთვის წამლის მიცემა რათა ქალი შეიყვაროს, ავაზაკის მიერკაცის კვლა. ექ.მთაწმინდელი მსჯელობს აგრეთვე გაუფრთხილებლობით კაცის მოკვლის შესახებაც. როდესაც უნებლიედ, შემთხვევით კლავ ადამიანს. ექვთიმეს აზრით

უნებლიე კვლავ შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. დაუდევრობის შემთხვევაა მაგალითად ხის ნაყოფის ჩამოსაგდებად როდესაც ქვას ისვრი და კაცს მოკლავს, ყრმას აღსაზრდელად რომცემს და შემოგაკვდება. ექვთიმე ასახელებს აგრეთვე უფრო მძიმე გაუფრთხილებლობას რომელიც განზრახვას უახლოვდება. მაგალითად, როდესაც კაცის საცემადგაიწევი და შემოგაკვდება. მართალია მოკვლა არ გასურდა მაგრამ მისი ცემის სურვილი გაგაჩნდა. ამრიგად ექვთიმედანაშაულის კლასიფიკაციისას საფუძვლად იღებს ნებას, განზრახვას და სურვილს, რომელთა მიხედვით დანაშაულებს ყოფს დიდ, საშუალო და მცირე დანაშაულებად.

## 6. დანაშაულის სახეები

- **სიკვდილით დასჯა** - მისი სხვადასხვა სახეებით, მათ შორის თავის მოკვება, ძელსა ზედა ჩამოხრჩობა. სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა მხოლოდ სახელმწიფოს ლაატისათვის, მეკობრეობისათვის ან მეფის შეურაცხყოფისთვის. წყაროებიდან ცნობილია რომ საქართველო XI-XII საუკუნეებში სასჯელთა ჰუმანიზაციით გამოირჩეოდა. გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელები, თუმცა ზომიერების ფარგლებში, იშვიათ შემთხვევებში იყენებდნენ სიკვდილით დასჯას. თამარის მეფობის დროს სიკვდილით დასჯა ფაქტობრივად გაუქმდა, არც მათრახის ცემით დაუსჯია ვინმე და არც ტაჯგანაგი გამოუყენებია.
- **სხეულის დამაზიანებელი (დამასახიჩრებელი) სასჯელები და ასოთმოკვეთა** - დასაჭურისება, თვალთა დაწვა ანუ დაბრმავება, ენის მოჭრა, ხელისა თუ ფეხის მოჭრა. დავით ნარინის მეფობის პერიოდში რაჭის ერისთავს კახაბერს სახელმწიფო დანაშაულისათვის თვალთა დაწვა, ერთი ხელისა და ფეხის მოკვეთა მიუსაჯეს. მის შვილს კი ექსორია ყვეს კონსტანტინოპოლში.
- **ექსორია და გაძევება** - სახეებია მუდმივი და დროებითი. ძირითად გამოიყენებოდა სახელმწიფო დანაშაულისთვის, თუმცა ვხვდებით სისხლის დანაშაულისთვისაც. ექსორიის დროს დამნაშავეს კონკრეტულ ქვეყანას, სახელმწიფოს მიუჩენდნენ საზღვარგარეთ, ხოლო გაძევების დროს დამნაშავეს მოაშორებდნენ საცხოვრებელ ადგილს, გადასახლების კონკრეტული ადგილი არ იყო მითითებული.
- **თავისუფლების აღკვეთა** - ფეოდალიზმის ეპოქაში თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის გასარკვევად ვიყენებთ სულხან-საბას განმარტებას საბყრობილების შესახებ. საბყრობილის სამი სახე არსებობდა: დილეგი, საკანი, საპატტიმრო. დილეგში ბორკილგაყრილი პატიმრები არიან მოთავსებულები. საკანი საბყრობილის ქვედა სართული, ბნელი ადგილია. საპატტიმროში კი დამნაშავე უბორკილოდ იმყოფება.
- **მტკივნეული ანუ გვემითი სასჯელები** - ასეთი სასჯელები გამოიყენებოდა ფიზიკური ტანჯვის მიყენების მიზნით. მტკივნეული სასჯელები ხორციელდებოდა ჯოხის ცემით, მათრახით და სხვა. თასმით ცემას მიმართავდნენ დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად.
- **ქონების კონფისკაცია ანუ მამულის დაჭირვა** - გამოიყენებოდა გამგებლის მოკვლისათვის.
- **მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი ან სამუდამოდ ჩამორთმევა და გამაწილებელი სასჯელები** - მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევაში იგულისხმებოდა არმიაში მონაწილეობის აკრძალვა, რაც ფაქტობრივად თავის თანამომხებთან უთანასწორობას

ნიშნავდა. ასეთი სასჯელი მკვლელობისა და სამშობლოს დალატისთვის იყო დაწესებული და სამოქალაქო სიკვდილს მოასწავებდა.

- **ქონებრივი საზღაური დანაშაულის ჩადენისთვის** - დამნაშავე უხდიდა სახელმწიფოს, სასამართლოს, დაზარალებულს და ფეოდალს. ასეთი სასჯელი დაწესებული იყო ქურდობისთვის. ამ მხრივ საინტერესოა ე.წ. შვიდეულის ისტორია, შვიდეულის მიხედვით დაზარალებულს ნაქურდალი ნივთი ან მისი ფასი უბრუნდებოდა, ხოლო ქურდს ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ნივთის შვიდმაგი ღირებულება.
- **დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები** - საეკლესიო სასჯელები ძირითადად რელიგიური დანაშაულებისთვის ინიშნებოდა: ხელთ დაცემა (ონანიზმი), მრუმობა, მამათმავლობა, უსაკოთა გახრწნა, პირუტყვთმავლობა, სისხლის აღრევა, კაცის კვლა. დაკრულვა-საეკლესიო სასჯელი იყო, თუმცა თან ახლდა საერო ხასიათის სასჯელებიც. დაკრულვა გამოიყენებოდა სქესობრივი, ზნეობრივი, მკრეხელური დანაშაულებისთვის, ასევე მკვლელობისთვის. საერო ხელისუფლება დაკრულვილს შერისხავდა, მამულს ჩამოართმევდა და აუკრძალავდა სამხედრო სამსახურს. სხვა საეკლესიო სასჯელებია: უზიარებლობა, სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა, ცემა და წამება.

## 7. დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია

დანაშაულის ცნების გამომხატველი ტერმინების შინაარსი გავარკვიოთ:

1. გარდასვლა – სჯულის, კანონისა და წესის დარღვევა.
2. გარდახდომა – იგივერაც გარდასვლა ანუ "დარღვევა"
3. დათრგუნვა – ივ.ჯავახიშვილი მოსაზრებით-კანონის დარღვევა
4. „უდედები და უგულუბელყოფაისაქმისაი“ – თანამდებობის პირის უმოქმედობას ნიშნავდა, რასაც მძიმე შედეგიან დანაშაული მოჰყვებოდა
5. მიშვება – თანამდებობის პირი საშუალებას აძლევს ბოროტმოქმედებს ჩაიდინონ დანაშაული, ქართული შესატყვისია "მიმნებლებლობა"
6. „წინააღდგომა და დარღვევა კანონისაი“ – კანონის დარღვევა ფართო გაგებით, ზოგადად უკანონობა
7. ბრალი – სულხან-საბას განმარტებითეს არის "მცირერამ დანაშაული", ჯავახიშვილის აზრით კი-თითქმის იგივე, რაც ცოდვა
8. ცოდვა – ჯავახიშვილის აზრით, ეს ტერმინისამართალდარღვევის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სახეა, შეცოდება კი – დანაშაული
9. დანაშაული – ფიზიკური ან ზნეობრივი ზიანის მიყენება.

## 8. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი პირობები

დანაშაულის შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები. (10) ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებებია: 1) ომის დროს მტრის მოკვლა (თუომში კაცს კაცი შემოაკვდება) 2) თუ მკვლელობა ჩადენილია დაზარალებულის შეუცნობლად, განზრახვის გარეშე, მაგრამ თუადრე მათ შორის ქიშპიდა მტრობა იყო და ნათესავები მკვლელს წაუყენებენ ბრალდებას მან თავი უნდა იმართლოს ან სისხლისფასი გადაიხადოს. 3) თუ დამხვედური მოკლავს თავდამსხმელს, მომხვედურს. ეს დანაშაული აუცილებელმოგერიებას ჰგავს. თუბატონი დაესხა თავს ყმას ამის შესახებკანონი დუმს. 4) როდესაც ერთიკაცი მეორეს მოსაკლავად შეუტევს და უმცროსი კაცი გაერიდება მას. უფროსი ხმაღს მოუქნევს და მეორე მოქნევსას რომ უმცროსი მოკლავს ან დაჭრის. ის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. 5) როდესაც სწორი სწორს შეუტევს, ხმაღს ხელი გაიკვრება და თავდამსხმელს მეორეპირი მოკლავს ან დაჭრის. 6) თუ ცოლზე ან შვილზე სხვა კაცი დაახელოს და მოკლას. 7) თუ მოახლეზე დაახელოს და მოკლას. 8) ყმას აქვს უფლება მოკლას თავისი ბატონი, თუმან შელახა მისი ოჯახის ცოლქმრულისიწმინდე. 9) ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატეცოლი. 10) სამართლის წიგნი გამორიცხავს პასუხისმგებლობას ქურდის მკვლელობისათვის. დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ან პასუხისმგებლობისაგან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა: თუ დანაშაული ჩადენილიყო გამოუვალი მდგომარეობის ანუ იძულების გამო. ასეთ გარემოებად ითვლება: თუ დამნაშავე მოქმედებდა უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფალის ბრძანების აღსასრულებლად და ამიტომ ჩაიღინა დანაშაული. ან ომიანობისა თუ თავდასხმის დროს იძულებული იყო თავი დაეცვა. იმდროინდელი ტერმინოლოგია ასეთ მიზეზებსა და გარემოებებს უწოდებს „ჯეროვან მიზეზს“, ზოგჯერკი „საჭირო მიზეზს“.

დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა თუ დანაშაული ჩადენილი იყო გამოუვალი მდგომარეობის ანუ იძულების გამო. ასეთ გარემოებებში იგულისხმება თუ ჩამდენი მოქმედებდა თავისი უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფალის ბრძანებით ან ომიანობისა და თავდასხმის დროს იძულებულ იყო თავი დაეცვა და თავდამსხმელი დაეჭირა. იმდროინდელი იურიდიული ტერმინოლოგია ასეთ გარემოებებს უწოდებს საჭირო მიზეზს ან ჯეროვან მიზეზს. ბრაეულობის დამამძიმებელ გარემოებებად კი ითვლებოდა:

- მეორედ ჩადენილი დანაშაული. იგი გაცილებით მკაცრდ ისჯებოდა როგორც საერო ისე საეკლესიო სამართლით.
- თუ დამნაშავე ცოდვისმოყვარე იყო ან უკრძალველობასა და თავზედ კადნიერებას ამჟღავნებდა
- ნათესავისადმი ჩადენილი დანაშაული, მკვლელობა, სისხლის აღრევა, მცირეწლოვანთა გახრწნა.
- თანამდებობის პირტა მოურიდებლობა, მათ მიერ ჩადენილი უფრო მკაცრად ისჯებოდა ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეების.

- დანაშაულის ჩადენა საშინელ ადგილას ანუ საპატიჟო ადგილებზე. ასეთ ადგილად ნაგულისხმევია დიდი სალარო ან ეკლესია. ასევე დამამძიმებელი გარემოება იყო საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშავება, რასაც შეიძლებოდა ადამიანის დაშავება ან სიკვდილი მოყოლოდა.

## • დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებები



- 1)ჭკუასუსტობა და შეურაცხადობა(უძლოური გონებისაი)
- 2)ექვეთიმე მტაწმინდელის აზრით 30 წლამდე პირი უნდა ისჯებოდეს მაგრამ მსუბუქად. სისხლის სამართალში პასუხისმგელობა დაწესებული იყო 10 წლის ასაკიდან,ვახტანგ მეექვსეს სამართლის წიგნში მოცემულია 15-16 წლიდან, უკიდურეს შემთხვევებში 21-22 წლიდან(სამხედრო სამოქალაქო სრულწლოვნება).
- 3) იძულება. უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფლის ბრძანების აღსასრულებლად და მათი ბრძანების აღსრულების შიშით ჩაიდინა დანაშაული ან ომიანობისა თუ თავდასხმის დროს იძულებული იყო თავი დაეცვა.



## • დამამძიმებელი გარემოებები



- 1)მეორედ ჩადენილი დანაშაული.
- 2) ცოდვისმოყვარეობა ან თავხედი კადნიერების გამჟღავნება
- 3)ახლო ნათესავის მიმართ ჩადენილი დანაშაული,მკვლელობა, სისხლის აღრევა.
- 4)თანამდებობის პირთა განუკრძალველობა(მოურიდელობა)
- 5)საპატიჟო ადგილას ჩადენილი დანაშაული.( სალარო ან ეკლესია, ჯოგი) ასევე საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშავება.



## • პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები



- 1)ომის დროს მტრის მოკვლა
- 2)განზრახვის გარეშე მკვლელობა( იმ შემთვევაში თუ დამნაშავესა და მოკლულს შორის არ იყო ქიშპი და მტრობა, ამ შემთხვევაში იმართლოს თავი ან გადაიხადოს სისხლის ფასი)
- 3)თუ დამხვდური მოკლავს თავდამსხმელს. კანონი ღუმს იმ საკითხის შესახებ თუ ბატონი დაესხა ყმას.
- 4)პირველად თუ უფროსმა კაცმა ააცილა მახვილი ყმას და მეორეჯერ მოუქნია, ყმას აქვს უფლება მოკლას ეს კაცი

- 5) თუ ბატონო ყმის ოჯახის ცოლქმრული სიწმინდე შელახა, ყმას აქვს უფლება რომ მოკლას იგი.
- 6)ქმარს აქვს უფლება მოკლას მორალატე ცოლი.
- 7)თუ კაცს ქურდი შეეპარა და კაცმა მოკლა იგი.

## 9. დახუთვა (განმარტება)

დახუთვა – პატრონისთვის ნივთის ან კაცის გამორთმევა, ან მათი ძალით ჩაგდება ხელში და უკან აღარ მიცემა, დაჭერა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ნიშნავდა ერთგვარ დაყადაღებას, ახლოს იყო გირავნობასთან, ოღონდ მას უმთავრესად მაშინ მიმართავდნენ, როცა მოვალე პირობას გადავიდოდა. ხუთვა და მისგან ნაწარმოები ტერმინები, დახუთვა, დამხუთავი, ნახუთევი და სხვა. უძველესი დროიდანვე იხმარებოდა ქართული სამართლის ძეგლებსა და სასულიერო თუ საერტო მწერლობაში.

## 10. თავდებობა

## 11. ქართლის სამეფოს მმართველობის უმაღლესი ორგანოები XVII – XVIII საუკუნეებში

ქართლის სამეფოს სახ–ო წყობილება XII-XIII სს

ქართლის სახ–ო მმართველობის მხრივ მონარქიულია, წყობილების მხრივ – მარტივი სახელმწიფო.

სახ–ოს სათავეში დგას მეფე, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი.

მმართველობის უმაღლესი ორგანოები სამეფო კარის სახითაა წარმოდგენილი, შედის:

- ა) მმართველობის ცენტრალური აპარატი;
- ბ) მეფის სამდივნო;
- გ) საპოლიციო აპარატი
- დ) მეფის დაცვის ორგანიზაცია
- ე) სასამართლო ორგანიზაცია
- ვ) განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი

ადგილობრივი მმართველობა:

- ა) საერისთავოები და ერისთავები
- ბ) სადროშო და სარდალი
- გ) მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, მელიქი
- დ) ხევი
- ე) სოფელი
- ვ) საქალაქო წყობილება და მმართველობა

**მეფე** – დასუსტებული ხელისუფლება. აქვს საკანონმდებლო ფუნქცია (რომელსაც ახორციელებს დარბაზთან და საერო–საეკლესიო ფეოდალებთან ერთად) და უმაღლესი მმართველობის ფუნქცია (სამეფო კარის მართვა, სამხედროგამგებლობა, საეკლესიო გამგებლობა, საფინანსო მმართველობა, საგარეო ურთიერთობები, აწესებდა გადასახადებსა დაბაჟს... ამ ფუნქციებს ახორციელებდა სათანადო მოხელეების დანიშვნით).

**სახელმწიფო საბჭო (დარბაზი)** – მისი სხდომის ჩატარებას

ეწოდებოდა მეჯლისი. იწვევდა დათავმჯდომარეობდა მეფე, ესწრებოდნენ: მდივანი, სახლთუხუცესი და ნაზირი, ასევე კათალიკოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსები, წინამძღვრები, მუხრან ბატონი, არაგვისა და ქსნისერისთავები, სარდლები, ამილახვარი, მდივანბეგი... შემადგენლო ბა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა საკითხი განიხილებოდა მეჯლისზე. თუ დიდი და რთული საქმეები წყდებოდა მაშინ ბევრ საერო–საეკლესიო პირს იწვევდნენ. ხოლო ყოველდღიური მუშაობისთვის მეფეს ჰყავდა მცირე საბჭო. დარბაზი ქართლის მეფის სათათბირო ორგანიზაციაა.

ირან – ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკის მიუხედავად, XVI-XVIII სს–ში, ქართული სახელმწიფოების სამეფო ხელისუფლების სათავეში კვლავ ბაგრატონთა საგვარეულო დინასტია იდგა, ხოლო ქვეყნების მართვა „დარბაზის“, ანუ სახელმწიფო საბჭოს, მეშვეობით ხორციელდებოდა. საერო და საეკლესიო მსხვილი ფეოდალებისაგან შემდგარი ეს სათათბირო ორგანო, მეფით სათავეში, განიხილავდა. უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა დარბაზის სხდომებზე ხდებოდა.

მოხელობა კვლავ ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: „დარბაზის რიგის მოხელენი“ და „საქვეყნო გამრიგენი“. პირველნი სამეფო კარის დაწესებულებებსი მსახურობდნენ და ცენტრალურ აპარატს ქმნიდნენ, ხოლო მეორენი ადგილებზე მოღვაწეობდნენ და ქალაქებს, სოფლებსა და თემებს განაგებდნენ. მოხელეს, რომელსაც ბრძანების გაცემის უფლება ჰქონდა, „ხელისუფალი“ და „გამგებელი“ ეწოდებოდა, ხოლო ბრძანების აღმსრულებელს – „საქმის მოქმედი“. ირან–ოსმალეთიდან მომდინარე სამოხელეო სახელოები, პირველ რიგში, „დარბაზის რიგის მოხელეების“ მიმართ ვრცელდებოდა, ხოლო „საქვეყნოდ გამრიგეთა“ თითქმის უმრავლესობას ძველი ქართული სახელოები რჩება: ერისთავი, გამგებელი, მოურავი, ციხისთავი (თუმცა უცხოური გავლენით ჩნდება ახალი სახელოებიც).

სახელმწიფოს მეთაურს – მეფეს – სხვადასხვა ფუნქცია – დანიშნულებით მრავალი მოხელე ჰყავდა. თითოეულისათვის განსაზღვრული უფლება–მოვალეობა არსებობდა და ყოველი მათგანი მეფის მიერ იყო უფლებამოსილი.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში გამოიყოფოდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება: მმართველობის სამეურნეო-საფინანსო აპარატი და სასახლის სამსახური, მეფის სამდივნო, საპოლიციო სამსახური, მეფის დაცვის ორგანიზაცია, სასამართლო ორგანიზაცია (მართლმსაჯულება) და სხვ. მათ შორის განაწილებული იყო ცენტრალური მმართველობის სხვადასხვა ფუნქცია და თითოეულს, შესაბამისად, მოხელეთა მტელი შტატი ექვემდებარებოდა.

„დარბაზის რიგის მოხელეთა“ შორის უპირველესი ადგილი მეფის **სახლთუხუცესს** ეკავა. იგი მმართველობის სამეურნეო-საფინანსო აპარატსა და სასახლის სამსახურს ხელმძღვანელობდა; სამეფო სახლის გამგე დასასახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებელი იყო. მის კომპენტენციაში ადმინისტრაციული, საკონტროლო და სამდივნო ფუნქციებიც შედიოდა. სახლთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: სამეურნეო ხასიათის მოხელები **ნაზირი, მოლარე, თავლიდარი, მუშრები...**, სასახლის საფარეშო და მისი მოხელები **ფარეშთუხუცესი, მეკარე, სუფრაშექი...**, სახაბაზოს, საშარბათოს, საღვინეს, სამკერვალოს, ნადირობის მოსამსახურების, საჯინბოს მოხელენი; აგრეთვე, სხვადასხვა დანიშნულების მქონე სხვა მოხელენიც: **მეითარი, მერიფიქე, მუჯირი** და სხვ.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში ცალკე გამოიყო მეფის სამდივნო, სადაც მთავარი მოხელებია: **მდივანი**, რომელიც ადგენდა სხვადასხვა ხასიათის საბუთებს და აწარმოებდა მიმოწერას და მურდარი – ბეჭდის შემნახავი.

მმართველობის ცენტრალურ ორგანოებში უმნიშვნელოვანესი იყო საპოლიციო აპარატი. მისი მოხელები გამორჩეული სტატუსით სარგებლობდნენ. მათ ფუნქციაში აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობა შედიოდა: ბრძანებისა და განაჩენის სისრულეში მოყვანა, გამოძიება, წესრიგის დაცვა და სხვ. თავიდან საპოლიციო აპარატს **ბოქაულთუხუცესი** მეთაურობდა, ასრულებდა სხვადასხვა სახის ბრძანებებს, განკარგულებებს, სისრულეში მოჰყავდა განაჩენი. როსტომის „რეფორმების“ შემდეგ ამ მნიშვნელოვანი უწყების სათავეში **ეშიკაღასბაში** დგება, ხოლო ბოქაულთუხუცესი მეორე ადგილს იკავებს. **ეშიკაღასბაშის** თანამდებობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი მეჯლისის დროს, სახლთუხუცესთან ერთად, მეფის წინ იჯდა. ეშიკაღასბაშს, ბოქაულთუხუცესის გარდა, ექვემდებარებოდნენ: **ბოქაული, სოიბათიასაული, ყორიასაული, იასაული, მემანდარი, ყაფიჩი** და **თალიში**.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში ცალკე არსებობდა მეფის დაცვის ორგანიზაცია, რომელსაც ანხორცილებდნენ: **ყულარაღასი, მინბაში, უზბაში, მეთოფე, ყორჩიბაში**. ქართლის ყულარაღასი (თანამდებობის შემოღება როსტომის სახელს უკავშირდება) სასახლის გვარდიას ხელმძღვანელობდა და მეფის პირადი მხლებლის, მეფის ადიუტანტის მსგავს მოვალეობას ასრულებდა.

სასამართლოს ორგანიზაცია, მისი წარმოება, სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ფუნქცია იყო. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, სამეფოში უმაღლეს მსაჯულს წარმოადგენდა. სახელმწიფო სასამართლო დაწესებულებას „დივანი“, ხოლო მის ხელმძღვანელს **მდივანბეგი** ანუ **მსაჯულთუხუცესი** ეწოდებოდა. სასამართლო სამი წევრისაგან შედგებოდა: **მდივანბეგი**, როგორც „თავი მოსამართლე“, **მსაჯულნი** და **მდივანი**. არსებობდა განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო, რომელსაც მეფე ერთი



რომელიმე კონკრეტული საქმის გასარჩევად იწვევდა, შემდეგ კი შლიდა. მდივანბეგს გამოტანილი განაჩენის დასამტკიცებლად სამოხელეო ბეჭედი ჰქონდა, რომელსაც „მდივანბეგის ბეჭედი“ ეწოდებოდა. ფუნქციონირებდა **საეკლესიო სასამართლოც**, ანუ ეკლესია სასამართლო საქმეებს თვითონვე არჩევდა. მსხვილ პრობლემებს კათალიკოსი, დანარჩენს კი ეპისკოპოსი, ან მოძღვარი განიხილავდა.

ირან–ოსმალეთის მომძლავრების პირობებში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ აპარატში გაჩნდნენ განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი: (ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში) **ვეზირი**, მუსტოფი და სხვ. ეს იყო ირანის სამეთვალყურო აპარატი, რომლის მთავარი წარმომადგენელი – ვეზირი – უცხო სახელმწიფოს რწმუნებულია ქართლში. იგი, ამავე დროს, მეფის მრჩეველიცაა და სამეფოს საშინაო საქმეებშიც აქვს შესაბამისი ფუნქციები. მას გაერთიანებულიფეოდალური საქართველოს ვაზირთან არაფერი ჰქონდა საერთო. XVIII ს.–ის II ნახევარში ვეზირის თანამდებობა კარგავს თავის მნიშვნელობას და ისპობა.